

წამების პრევენციისთვის

სახალხო დამცველის სპეციალური მოხსენება

(ანგარიში მოიცავს 2004-2007წწ.)

2007 წელი
თბილისი

წინასიტყვაობა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ჩამოყალიბდა 1996 წელს, როცა ძალაში შევიდა საქართველოს ორგანული კანონი „სახალხო დამცველის შესახებ“. კანონი სახალხო დამცველს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს. მე-3 მუხლის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას“. ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა საქმიანობას, აფასებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, აძლევს რეკომენდაციებსა და წინადადებებს; ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას.

საქართველოს სახალხო დამცველი სარგებლობს დამოუკიდებლობისა და იმუნიტეტის სრული გარანტიით. კანონი სახალხო დამცველს ძლიერ სამართლებრივ გარანტიებსაც ანიჭებს, კერძოდ, ყველა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თანამდებობისა თუ იურიდიული პირი ვალდებულია ყოველმხრივ დაეხმაროს საქართველოს სახალხო დამცველს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება სახალხო დამცველს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. კანონით დადგენილ მოვალეობათა შეუსრულებლობა, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა კი ისჯება კანონით და აისახება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში, რომელსაც იგი წელიწადში ორჯერ წარადგენს საქართველოს პარლამენტში და რაც საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იქნება.

საქართველოს სახალხო დამცველს 5 წლის ვადით, სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

სახალხო დამცველის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა სახალხო დამცველის აპარატი, რომელშიც ამჟამად 60 თანამშრომელი მუშაობს. სახალხო დამცველს ჰყავს რეგიონული წარმომადგენლები თავიანთი ოფისებით ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

სახალხო დამცველი დარღვეულ უფლებებზე რეაგირებას ახდენს როგორც მიღებული განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით.

წამების საკითხები საქართველოში

წამებას, სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს აბსოლუტურად კრძალავს როგორც საერთაშორისო სამართალი, ისე საქართველოს კანონმდებლობა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც რჩება ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად, რომლის გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობს საქართველო.

საქართველოში წამების საკითხი პრობლემას წარმოადგენდა როგორც ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“, ისე მის შემდგომ პერიოდში.

2004 წელს საქართველოს პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით საქართველოს მესამე სახალხო დამცველად სოზარ სუბარი აირჩია.

საქართველოს სახალხო დამცველმა არჩევის დღიდან განაცხადა, რომ მისი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ წამების წინააღმდეგ ბრძოლა იქნებოდა, რისთვისაც გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

სახალხო დამცველი წამების წინააღმდეგ ბრძოლას რამდენიმე გზით ახორციელებდა:

1) წამებასთან, სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასთან ან სასჯელთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო სრულყოფისთვის ხელშეწყობა, და 2) მონიტორინგის განხორციელება დახურული ტიპის ყველა ინსტიტუციაში.

თავდაპირველად, სხვა ფაქტორებთან ერთად, პრობლემას წარმოადგენდა საკანონმდებლო მხარის მოუწესრიგებლობაც. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომელიც კრძალავდა წამებას, აბსოლუტური იყო და საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს შეზღუდვას არ ექვემდებარებოდა, ხოლო მე-18 მუხლი დამატებით მიუთითებდა, რომ „დაუშვებელია დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“. მოცემული აკრძალვა შესაძლებელი იყო, შეზღუდულიყო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც, რაც ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა თავის 2004 წლის მოხსენებაში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტს, შესულიყო შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში და აღმოფხვრილიყო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ პარლამენტმა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა და 2006 წლის 27 დეკემბერს კონსტიტუციაში განხორციელდა ცვლილება.

სახალხო დამცველის რეკომენდაციითვე მოხდა სისხლის სამართლის კოდექსში „წამების“ დეფინიციის შესაბამისობაში მოყვანა გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციასთან და სანქციის გაზრდა ამ დანაშაულისთვის, რადგან ზემოაღნიშნული სასტიკი დანაშაულის დისპოზიცია ძალიან ბუნდოვანი იყო და პრაქტიკულად

შეუძლებელს ხდიდა მის გამოყენებას, ხოლო გათვალისწინებული სანქცია აშკარად არაადეკვატური იყო დანაშაულის შემადგენლობასთან.

წამების საკითხებთან დაკავშირებით აღსანიშნავია სახალხო დამცველის წვლილი წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების პროცესში. საქართველომ მოახდინა როგორც გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის, ისე მისი ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება. ოქმის რატიფიცირების საკითხი სწორედ სახალხო დამცველმა დააყენა საქართველოს პარლამენტში, რასაც შემდგომ სპეციალური სხდომა მიუძღვნა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა. ოქმის რატიფიცირების წინააღმდეგი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მიზეზად მიუთითებდნენ, რომ ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბება დიდ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სახალხო დამცველმა განმარტა, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტს შეეძლო ეტვირთა ეს როლი (საწყის ეტაპზე მაინც), რადგან წარმატებით ახორციელებდა ოქმით გათვალისწინებულ მეტად მნიშვნელოვან მონიტორინგის ფუნქციას, შემდგომში კი, თუ ხელისუფლება გადაწყვეტდა, შეეძლო, პრევენციის ეროვნულ მექანიზმად სრულიად ახალი ორგანო შეექმნა. ამის შემდეგ, პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ოქმის რატიფიცირების შესახებ.

ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფმა (საია, PRI, APT) სახალხო დამცველთან კონსულტაციებითა და თანამშრომლობით შეიმუშავა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოდელი. მის მიხედვით სახალხო დამცველთან იქმნება მაკოორდინირებელი საბჭო, რომლის თავმჯდომარე იქნება სახალხო დამცველი, დახურული ტიპის დაწესებულებებთან კი იმუშავებენ შესაბამისი კომისიები. 2007 წლის 22 ივნისს ამოიწურა საქართველოს მიერ ფაკულტატური ოქმით აღებული ვალდებულებების ვადა.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, მანფრედ ნოვაკი, ჯერ კიდევ 2005 წელს მიუთითებდა საქართველოს, წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმის შესაბამისად ჩამოეყალიბებინათ რეალურად დამოუკიდებელი მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა პარიზის პრინციპების შესაბამისად შექმნილ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტთან, შესაძლებელია სახალხო დამცველის აპარატთან.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არანაირი კონკრეტული ნაბიჯები ოქმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან არ გადადგმულა.

აღსანიშნავია წამების პრევენციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოზიტიური ნაბიჯები. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2007 წლის 20 ივნისს, შეიქმნა ადამიანთა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, რომლის მუშაობაშიც სხვადასხვა სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, სახალხო დამცველის წარმომადგენელიც არის ჩართული. ყურადღება გასამახვილებელია იმაზე, რომ

საბჭოს მუშაობას შედეგებით თუ შევაფასებთ ჯერჯერობით დიდი წარმატებები მიღწეული არ არის. კერძოდ, ჯერ კიდევ არაა შემუშავებული წამების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმა და წამების საწინააღმდეგო კონვენციით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმი.

ამასთან, მისასალმებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, სამინისტროს სისტემაში შემავალ ყველა თანამშრომელს, ვისაც კი შეხება აქვს დაკავებულ პირთან დაევალა საიდენტიფიკაციო **სამკერდე ნიშნების** ტარება. პოლიციის ანონიმურობა ზრდის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ჩამდენი პირების დაუსჯელობის ალბათობას. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საიდენტიფიკაციო **სამკერდე ნიშნების** ტარება ყოველთვის ვერ ხერხდება, განსაკუთრებით ეს ეხებათ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებს.

საქართველოს კანონმდებლობა წამების მსხვერპლთათვის ითვალისწინებს კომპენსაციის უფლებას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან“.

სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლში მითითებულია, რომ „უნდა ანაზღაურდეს, საქმის შედეგის მიუხედავად, ზიანი, რომელიც პირს მიადგა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაკავების, დაპატიმრების ანდა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შედეგად, აგრეთვე თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, შემოწმების, სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელ მოქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიაყენა“.

საგულისხმოა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მანფრედ ნოვაკის რეკომენდაცია, რომელიც მან 2005 წელს მისცა საქართველოს მთავრობას, კერძოდ, წამების მსხვერპლებმა უნდა მიიღონ შესაბამისი კონპენსაცია და სამედიცინო მომსახურება, ასევე, მოხდეს მათი რეაბილიტაცია.

2006 წლის 29 დეკემბერს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის მე-4 პუნქტი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „თუ თანამდებობის პირს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹, 144² ან 144³ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა და იგი მიიმაღა ან მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი შეიძლება წარედგინოს სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“.

* * *

წამებისა და სასტიკი, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლის სახალხო დამცველის ხელთ არსებული ყველაზე ეფექტური იარაღი წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული ინსტიტუციების მონიტორინგია. 2005 წლიდან სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო ფართომასშტაბიანი მონიტორინგი დახურული ტიპის დაწესებულებებში, თავდაპირველად, უფრო მეტად აქცენტი კეთდებოდა პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებსა და განყოფილებებზე, ასევე პენიტენციურ სისტემაზე, ხოლო შემდეგ ყველა სხვა დანარჩენ დაწესებულებებზეც.


აღნიშნული განპირობებული იყო იმ მიზეზით, რომ პოლიციის მიერ დაკავებული ყველა პირი, გამონაკლისის გარეშე, ხდებოდა ცემისა და წამების მსხვერპლი. ეს იყო დამკვიდრებული წესი, ჩვევა, რომელიც პოლიციელებს ტრადიციად ჰქონდათ ქცეული. ამავე დროს, წამებით ჩვენების გამოძალვა იყო პოლიციის მუშაობის უმთავრესი მეთოდი. წამების მეთოდები მრავალფეროვანი იყო – ელექტროდენზე შეერთება, ელექტროშოკით წამება, თავზე აირწინალის ან პოლიეთილენის პარკის ჩამოცმა, საათობით ხელებით ან ფეხებით ჩამოკიდება და სხვა. ხშირი იყო ნაწამების პირების გარდაცვალების შემთხვევები, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი საქმეები გამოუძიებელი რჩებოდა.

ინტენსიურმა მონიტორინგმა სერიოზული შედეგი გამოიღო – ცემა-წამება, რაც ადრე პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულთან მოპყრობის ტრადიციული ფორმა იყო, დღეს ფაქტობრივად, აღარ გვხვდება. თუმცა, შემდგომ პერიოდში ძალადობამ ქუჩაში გადაინაცვლა. პოლიციელები დაკავების დროს სცემდნენ პირს, შემდეგ კი აფორმებდნენ, თითქოს მათ წინააღმდეგობა გაუწიეს. ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრი იყო. 2005 წელს დაკავებულთა თითქმის მესამედს სხეულზე გარკვეული დაზიანებები აღენიშნებოდა, რაც მათ დაკავების დროს მიიღეს. თუმცა, მანამდე არსებულ წამების პრაქტიკასთან შედარებით ეს მაინც სერიოზული მიღწევა იყო.

სახალხო დამცველმა 2005 წლის საპარლამენტო მოხსენებებში სწორედ დაკავების დროს ძალის გადაჭარბებულ გამოყენებაზე გაამახვილა ყურადღება. უნდა ითქვას, რომ 2006 წელს პოლიციაში უკვე გაჩნდა დაკავების დროს ძალის გამოყენების შემცირების ნიშნები და ამ კუთხით საჩივრებმა მკვეთრად იკლო.

2005, 2006 და 2007 წელს ნოემბრის ჩათვლით თბილისში შს სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელებული მონიტორინგის დროს დაფიქსირებული ფიზიკური დაზიანებების რიცხვი და დაკავებულთა რიცხვი, რომლებიც მიუთითებდნენ პოლიციელთა მხრიდან ფიზიკური ზეწოლის ფაქტს¹:

¹ აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში არსებული პოლიციის განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის მონაცემებს



წარმოდგენილ სპეციალურ მოხსენებაში აღწერილია 2004-2007 წლებში დახურული ტიპის დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის **თვალსაზრისით** ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში (დმი) არსებული მდგომარეობა

სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფი კონტროლს ახორციელებს პოლიციის საქმიანობაზე. მონიტორინგის უმთავრესი მიზანი პოლიციელთა მხრიდან დაკავებულთა ცემისა და წამების პრევენცია და საბოლოო შეწყვეტა იყო, თუმცა, პარალელურად პროცესუალურ დარღვევებსა და წინასწარი დაკავების საკნების მდგომარეობასაც სწავლობდნენ. ამ საკნებში არსებული მდგომარეობა ხშირად წამების ტოლფასი იყო.

2005 წლის იანვრიდან მონიტორინგის ჯგუფი პოლიციის რაიონული განყოფილებებს, ქვეგანყოფილებებს, თბილისის ქალაქის სამმართველოსა და რეგიონების დროებითი მოთავსების იზოლატორებს (კერძოდ, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და აჭარაში) ინტენსიურად ამოწმებდა. 2005 წელს - 1800-მდე, 2006 წელს კი 856, **ხოლო 2007 წლის 1 იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით 1102** მოულოდნელი ვიზიტი განხორციელდა პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

ჩატარებული მონიტორინგისას გამოვლინდა არაერთი დარღვევა და პრობლემა, რაც საფუძვლიან შესწავლასა და გადაწყვეტას საჭიროებდა. შემოწმებისას ძირითადად ერთგვაროვანი პრობლემები იკვეთებოდა. აღმოჩნდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების უდიდესი ნაწილი (რომლებიც რაიონებში შს განყოფილებების შენობებშია განთავსებული) სავალალო მდგომარეობაში იყო: შენობები დაუყოვნებლივ შეკეთებასა და რემონტს საჭიროებდა, არც ერთ მათგანში არ იყო საშხაპე და სამედიცინო ოთახი, მოუწესრიგებელი იყო წყალგაყვანილობის, სავენტილაციო და გათბობის სისტემები. საკნებსა და საგამოძიებო ოთახებში ჩამოდიოდა წყალი, ჩამსხვრეული იყო მინები, არ იყო ნარები და დაკავებულებს ხშირად იატაკზე უწევდათ დამინება. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენდა დაკავებულთა კვებით უზრუნველყოფის საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულს ახლობლები ვერ აწვდიდნენ საკვებს, დმი-ის თანამშრომლები იძულებულნი ხდებოდნენ საკუთარი ხარჯებით გამოეკვებათ ისინი. თუმცა, ზოგ შემთხვევაში აღნიშნული კეთილი ნების გამოვლენა თანამშრომელთა მხრიდან ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ხდებოდა.

დროებითი მოთავსების საკანში ათავსებენ როგორც ექვმიტანილებსა და ბრალდებულებს, რომელთა დაკავების ვადა სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებამდე არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირებს, რომელთა პატიმრობა შეიძლება 30 დღემდე გაგრძელდეს. ამ ხნის განმავლობაში პატიმრის კვება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია.

სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფის ყურადღება განსაკუთრებით სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დმი-მ მიიქცია, სადაც ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირთა რაოდენობა ყოველდღიურად ხუთიდან შვიდამდე მერყეობდა. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დმი-ში პატიმართა რიცხვმა ჩვიდმეტს მიაღწია. თითქმის ყველა მათგანს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისათვის, სასამართლოს მიერ შეფარდებული ჰქონდათ ოცდაათდღიანი პატიმრობა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დმი-ში 4 საკანი იყო, აქედან ერთი, ავარიული მდგომარეობის გამო - გამოსაყენებლად უვარგისი. დანარჩენ სამ საკანში მაქსიმუმ 13 პირის მოთავსება იყო შესაძლებელი. სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დმი-ში მწვავედ იდგა საკნების გადატვირთულობის პრობლემა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, იყო ტექნიკური პრობლემებიც, როგორიცაა სააბაზანო ოთახის, პირადი ჰიგიენის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობების არ არსებობა. ასევე წყალგაყვანილობის, გათბობისა და სავენტილაციო სისტემების მოუწესრიგებლობა, დაზიანებული ფიცარნაგები. ლეიბები და თეთრეული ადმინისტრაციასაც კი არა ჰქონდა. პატიმრებს საკვებით ვერ უზრუნველყოფდნენ.

არსებული გარემოებების გამო, პატიმრებს სახდელის მოხდა, ფაქტობრივად, არაადამიანურ პირობებში უწევდათ. ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ

პატიმართაგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივად დაპატიმრებულ პირებს (როგორც, ბრალდებულს, ასევე მსჯავრდებულს), საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პირადი ჰიგიენის უზრუნველსაყოფად გარანტიებს უწესებს. კერძოდ, მსჯავრდებულს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა ადამიანის პატივისა და ღირსების შეუღლებად. კვირაში ერთხელ მაინც მსჯავრდებული უზრუნველყოფილ უნდა იყოს სუფთა თეთრეულით და საპარიკმახერო მომსახურებით... კანონის ეს მოთხოვნები აშკარად უგულებელყოფილია.

დაკავებულთა უზრუნველყოფა ყოველივე ზემოაღნიშნულით აუცილებელია, რადგან ადამიანთა ნორმალური ყოფისათვის საჭირო პირობების (განათების, ჰაერის, კვების, სისუფთავის, ძილის და ა.შ.) არარსებობა ლახავს პიროვნების ღირსებას და ქმნის არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პირობებს. სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს არაერთი რეკომენდაცია გაუგზავნა, რათა გამოესწორობინათ დროებითი მოთავსების იზოლატორებში შექმნილი მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე არაადამიანური და გაუსაძლისი პირობების გამო გაუქმდა კასპის (სადაც წვიმის დროს მუხლებამდე წყალი იდგა), ლაგოდეხისა და ახმეტის დროებითი მოთავსების იზოლატორები და გარემონტდა ახალგორის, მარნეულის, საგარეჯოს, ყვარელის, რუსთავის, ბოლნისის, ბორჯომის, **სიღნაღის**, ახალციხისა და მცხეთის დმი-ები. უმრავლეს დმი-ში კვლავ მძიმე მდგომარეობაა, თუმცა გაუმჯობესების ტენდენცია შეიმჩნევა.

თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში გარემონტების შედეგად მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა **სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მონიტორინგისას დააფიქსირეს, რომ ფეკალური მასებისთვის განკუთვნილ ავზთან დამონტაჟებული იყო ონკანი, რაც ბუნებრივია ჰიგიენურ სტანდარტებთან შესაბამისობაში არ არის.**

აღსანიშნავია, რომ 2005 წლის შემდეგ დროებითი მოთავსების იზოლატორებში აშკარად შემცირდა ფიზიკური დაზიანებების მქონე დაკავებულთა რაოდენობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული პირობები

საქართველოს სახალხო დამცველის თანამშრომლებმა 2006 წლის 25 ოქტომბერს **დიღომში მდებარე** თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის მიწისქვეშ მდებარე დროებითი მოთავსების იზოლატორი შეამოწმეს.

მიუხედავად იმისა, რომ იზოლატორში 95 განსასჯელი იმყოფებოდა, 14 საკნიდან მხოლოდ 8 იყო დაკავებული. დანარჩენი 6 საკნის გამოყენება საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთა სიმცირის გამო ვერ ხერხდებოდა. საკნის 8 კვ. მეტრ ფართობზე

იდგა ერთი გრძელი ხის სკამი, რომელზეც მხოლოდ 4 ადამიანის განთავსება იყო შესაძლებელი. თითო საკანში 8-25 პატიმარი იყო მოთავსებული. სასამართლოს მოლოდინში პატიმრები სკამზე რიგრიგობით სხდებოდნენ. მთელი დღის მანძილზე სასამართლოში მიყვანილ განსასჯელთა საერთო რაოდენობა ჩვეულებრივ 150-180 ადამიანს აღწევს. საკნები გადაუდებელ რემონტს საჭიროებდა. იზოლატორში არ ფუნქციონირებდა სპეციალური სისტემა და პატიმრების კვება დღეში ერთხელ ხდებოდა.

2007 წლის 14 თებერვალს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დროებით მოთავსების იზოლატორი ხელმოკრედ შეამოწმეს. აღმოჩნდა, რომ მდგომარეობა არ გამოსწორებულა. პატიმრები ძველებურად, მხოლოდ 6 საკანში იყვნენ მოთავსებულები. საკნებში ისევ მხოლოდ თითო, ოთხადგილიანი სკამი იდგა. მსჯავრდებულთათვის გამოყოფილი იყო ერთი საპირფარეშო. მონიტორინგის პერიოდში იზოლატორში 131 პატიმარი იმყოფებოდა.

იზოლატორში არ იყო ცენტრალური გათბობის სისტემა და მისი გათბობა დერეფნებში არსებული მცირე ზომის ელექტრო გამათბობელით ხდება, რაც რა თქმა უნდა, არაეფექტურია და საკნებში საშინლად ცივა.

ცალკე აღსანიშნავია საბადრაგო სამსახურის მუშაკთა მძიმე შრომითი პირობები. საქალაქო სასამართლოს დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფ განსასჯელთა საერთო რაოდენობას საბადრაგო სამსახურის 22 თანამშრომელი ზედამხედველობს და იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთელი კვირა, გამოსასვლელი დღეების გარეშე მუშაობენ. ერთადერთი რაც შეიცვალა - 2007 წლიდან საგრძნობლად გაზრდილი გასამრჯელო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დიდმიდან სარემონტო სამუშაოების გამო დროებით ვაკე-საბურთალოს რაიონში გადაინაცვლა. იქ არსებულ დროებითი მოთავსების იზოლატორშიც არადაამკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს დროებითი მოთავსების იზოლატორში განსასჯელთათვის, ასევე ბადრაგის თანამშრომელთათვის არაადამიანური და უღირსი პირობებია, რაც მათ უფლებებს ლახავს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ საზოგადოების მოლოდინი ძალოვანი უწყებების მიმართ მკვეთრად გაიზარდა. მოსახლეობას გაუჩნდა იმედი, რომ მთავრობა თავისი ფუნქციების განხორციელებისას უფრო ჰუმანურ, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ მიდგომებს გამოიყენებდა. 2005 წლამდე პრობლემას პოლიციის განყოფილებებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულის ცემა-წამება წარმოადგენდა, შემდეგ კი აღნიშნულმა პრობლემამ ქუჩაში გადაინაცვლა.

ცნობილია, რომ რეფორმები სახელმწიფო მმართველობის ყველა სექტორში მიმდინარეობს, მათ შორის, ძალიან აქტიურად - შს სამინისტროში. პოლიციის რეფორმა წარმატებულად ითვლება მაშინ, როცა ამ უწყების მთავარი მისია - დაამყაროს წესრიგი ქვეყანაში, შეამციროს დანაშაული და რეალურად დაიცვას ადამიანის უფლებები - ეფექტურად ხორციელდება.

მართალია, ყველა პოლიციელმა იცის, რომ არ უნდა ცემოს და აწამოს ადამიანი, მაგრამ მთავარია, ფუნქციონირებდეს პრევენციის ქმედითი მექანიზმები და გამოძიებისა და დასჯის ეფექტური სისტემა.

პოლიციის მიერ ძალის გამოყენება გლობალური პრობლემაა და საქართველო გამონაკლისი არ არის.

პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებულად გამოყენება შეიძლება გამოწვეული იყოს:

- პოლიტიკური ნების არარსებობით;
- არასათანადო კონტროლით თანამშრომელთა ქმედებებზე;
- პოლიციელების ფსიქოლოგიური განწყობით (მიდრეკილებით აგრესიისკენ);
- სპეციალური განათლების დეფიციტით;

ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი ბერკეტი სახალხო დამცველისათვის არის საპარლამენტო მოხსენებები და წინადადებითა და რეკომენდაციებით მიმართვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისადმი. როცა არ არსებობს მხარდაჭერა ხელისუფლებისგან, ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენა და ადეკვატური შედეგის მიღწევა ძალიან ძნელია. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სისტემურ დარღვევებს ან ადამიანის უფლებების კონკრეტულ დარღვევას მაღალი თანამდებობის პირის მიერ, რაც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია.

საპროტესტო აქციის დარღვევა

2007 წლის 7 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის, ხელკეტების, წლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაარბიეს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე კანონიერი, მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეები.

პოლიცია ზემოაღნიშნულ აქციაზე სადამსჯელო კერძო პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ აქციის მონაწილეებს, რაც აშკარად წამების ტოლფასი იყო.

სახალხო დამცველის რწმუნებულები მუდმივად თვალყურს ადევნებდნენ აქციის მსვლელობას და მონიტორინგს უწევდნენ მის შედეგებს.

სახალხო დამცველმა შეისწავლა საპროტესტო აქციის მონაწილეების განცხადებებიც. მრავალრიცხოვანი საჩივრებიდან ანგარიშში მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას. კერძოდ:

მალხაზ ჯოლოხავას საქმე

2007 წლის 9 ნოემბერს მ.ჯოლოხავას ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა. როგორც ახსნა-განმარტების შინაარსიდან ირკვევა, მალხაზ ჯოლოხავა 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 05:30 საათზე ფეხით მოძრაობდა თავისუფლების მოედნიდან კოლმეურნეობის მოედნის მიმართულებით, რა დროსაც კრიმინალური პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა ორმა მამაკაცმა იგი იძულებით მოათავსა BMW მარკის ყავისფერ ა/მანქანაში. მ.ჯოლოხავას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, კრიმინალური პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა პირმა, რომელიც ა/მანქანაში დახვდა, მ.ჯოლოხავას დეზოდორანტის მსგავსი ბალონიდან სახეში შეასხა მისთვის გაურკვეველი ნივთიერება, რამაც თვალების წვა და ცრემლდენა გამოიწვია. მისივე განცხადებით, მარჯვენა ხელის შუა თითში ინტენსიურად ჩხვლეტდნენ ნემსის მაგვარ საგანს და პარალელურად აფრთხილებდნენ, აღარ მიეღო მონაწილეობა საპროტესტო აქციებში. ძლიერი ფიზიკური ტკივილების გამო, მ.ჯოლოხავამ დაკარგა გონება და არ ახსოვს როგორ აღმოჩნდა ლადიძის ქუჩის #6-ში მდებარე სახლთან, ასფალტზე დაწოლილ მდგომარეობაში, სადაც მას ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება. მოგვიანებით, დაახლოებით 12 საათისათვის მ.ჯოლოხავა დაბრუნდა პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე. დაიწყო მომიტინგეთა დარბევა და მ.ჯოლოხავა პოლიციის თანამშრომლებმა კვლავ რეზინის ხელ-კეტებით სცემეს. აქვე მან შენიშნა ის ორი პოლიციელი, რომლებმაც დილით უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. მ.ჯოლოხავას განცხადებით ზემოაღნიშნულ პირთა ამოცნობა შეუძლია, რადგან ისინი არაერთხელ ჰყავს ნანახი კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. დარბევის დროს მ.ჯოლოხავა გახდა შეუძლოდ, დაკარგა გონება და გადაყვანილი იქნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ნეიროქირურგიის ცენტრში“, სადაც გაეცნენ მ.ჯოლოხავას ავადმყოფობის #467 ისტორიას. როგორც ისტორიის ჩანაწერებიდან ირკვევა, მოქალაქე სამედიცინო ცენტრში შეიყვანეს 2007 წლის 7 ნოემბერს ქალატვინის დახურული ტრამვისა და თავის ტვინის შერყევის დიაგნოზით, ასევე მარჯვენა ხელის შუა თითის ფრჩხილის ქვეშ აღენიშნება სისხლჩაქცევები.

მ.ჯოლოხავას ახსნა-განმარტებიდან ჩანს, რომ მის მიმართ შესაძლოა ადგილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 144¹ (წამება) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებებს.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, დაეწყო წინასწარი გამოძიება მ.ჯოლოხავას მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

მამუკა მდინარაძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განიხილება მოქალაქე მამუკა მდინარაძის ცემის ფაქტი. 2007 წლის 8 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მამუკა მდინარაძეს. ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 14:30 საათისათვის მ.მდინარაძე გამოვიდა თავისი საცხოვრებელი ბინიდან, მივიდა ალექსანდროვის ბაღთან, რადგან აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა მიტინგზე.

პოლიციის მიერ მომიტინგეების დარბევის პროცესში მამუკა მდინარაძე გაიქცა, დაძაბული სიტუაციისაგან თავის არიდების მიზნით, მაგრამ ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელიც მის გვერდით აღმოჩნდა, ფეხი დაუდო და წააქცია. წაქცეულ მ.მდინარაძეს ფიზიკურ შეურაცხყოფას ერთდროულად თხუთმეტამდე პოლიციელი აყენებდა. ისინი გამეტებით ურტყამდნენ ფეხებს მ.მდინარაძეს და ერმანეთს თხოვდნენ- „მეც დამარტყმევინეთო“. პოლიციელებმა შეწყვიტეს მოქალაქის ცემა, მას შემდეგ, რაც შემთხვევით გამვლელმა სამღვდელოების წარმომადგენელმა პირებმა თხოვეს ამის შესახებ. ვინაიდან ეს უკანასკნელი თავს გრძნობდა შეუძლოდ, მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ (ყოფილი მიხაილოვის) საავადმყოფოს დახმარებისათვის. როგორც გაირკვა, მ.მდინარაძეს ცემის შედეგად დაუზიანდა ფილტვი და ჩაუტარდა ოპერაცია, ჩაუდგეს დრენაჟი. კიდურებზე, ზურგისა და თავის არეში აღენიშნება მრავლობითი დაჟეჟილობები. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც მ.მდინარაძის ახსნა-განმარტების შინაარსიდან ირკვევა, მის მიმართ განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ (წამება) და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, დაეწყო წინასწარი გამოძიება მ.მდინარაძის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

ნინო სოსელიას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ნინო სოსელიას ცემის ფაქტს. 2007 წლის 8 ნოემბერს მოქალაქე ნ.სოსელიას ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა.

ახსნა-განმარტებაში მითითებულია, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით დღის 12:30 საათისათვის ის იმყოფებოდა პარლამენტის შენობის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე. პოლიციამ დაიწყო მომიტინგეთა დარბევა წყლის ჭავლისა და

ცრემლსადენი გაზის გამოყენებით. ნ.სოსელია იდგა პარლამენტის გვერდით, პირველ საშუალო სკოლასთან, რა დროსაც მას სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ერთ-ერთმა ნიღბიანმა პირმა თავის არეში ჩაართვა ხელკეტი, სახეში გააწნა სილა და მთელი ძალით მიანარცხა პირველი საშუალო სკოლის კედელს. ნ.სოსელიას მწვავე ტკივილის მიუხედავად, გონება არ დაუკარგავს. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ნ.სოსელია წავიდა სახლში. მოგვიანებით, მარცხენა თვალიდან დაეწყო ცრემლდენა და ძლიერი ტკივილები თავისა და ბეჭის არეში. 2007 წლის 8 ნოემბერს მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ (ყოფილი მიხაილოვის) საავადმყოფოს. ნ.სოსელიას მკურნალ ექიმთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მას გატეხილი აქვს თავის ქალა (საფეთქლის ძვალი).

როგორც ნ.სოსელიას ახსნა-განმარტების შინაარსიდან ირკვევა, მის მიმართ განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა), 144¹ (წამება) და 161-ე (შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფა) და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, დაეწყოთ წინასწარი გამოძიება ნ.სოსელიას მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

* * *

სახალხო დამცველმა შეისწავლა მოქალაქე ალექსი ბახუტოვის საქმე, რომელიც პოლიციის უსამართლობაზე, კანონის უხეშ დარღვევაზე, მოქალაქის მიმართ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე მეტყველებს. საქმეში იკვეთება დარღვევები სხვა უწყებების მხრიდანაც. კერძოდ,

ა.ბახუტოვის საქმე

2007 წლის 19 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მსჯავრდებულმა ალექსი ბახუტოვმა. განმცხადებლის ინფორმაციით, ლაშა ჩოფიკაშვილი, ვისი განზრახ მკვლელობისთვის ა.ბახუტოვს 2007 წლის 24 აგვისტოს თელავის რაიონულმა სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ცოცხალია და სოფელ ჯულანში, მის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში იმყოფება. სასტიკი წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად ა.ბახუტოვმა და მისმა გერმა ი.ციციშვილმა აღიარეს ა.ბახუტოვის მიერ არჩადენილი დანაშაული და ა.ბახუტოვი ახლა სასჯელს სად-ის #5 საპყრობილეში იხდის.

ცოცხალი გარდაცვლილის - ლაშა ჩოფიკაშვილის განმარტებით, 2007 წლის 15 ივნისს იმყოფებოდა ნათან ზათიაშვილის მეცხოველეობის ფერმაში, სადაც ალექსი ბახუტოვთან მცირე შელაპარაკება მოუვიდა. სახლში დაბრუნებულ ლ. ჩოფიკაშვილს ალექსი ბახუტოვმა დაუძახა და სიგარეტი სთხოვა. ჩოფიკაშვილმა მას სიგარეტი

გაუტანა მდინარე სტორის ნაპირთან და სახლისკენ მობრუნდა, სწორედ ამ დროს გონება დაკარგა. გონზე მოსული იყო სველი და მდინარის ნაპირთან იწვა. შემდეგ ის სახლში შებრუნდა. გამთენიისას 04:00 საათზე ლ. ჩოფიკაშვილი წავიდა სამუშაოდ ე.წ. ნაწიდნარის ტერიტორიაზე, სადაც ვინმე იზნაურთან მსახურობდა მწყემსად. 20 სექტემბერს ლაშა ჩოფიკაშვილი ჩავიდა თელავში, სადაც შეხვდა ნაცნობი, ვინმე არაბული და მისგან შეიტყო, რომ სოფელში გარდაცვლილი ეგონათ და დაუსაფლავებიათ კიდეც! სოფელში დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში მასთან მივიდა თელავის რაიონული პოლიციის სამი თანამშრომელი, რომლებმაც ის იძულებით ჩასვეს ავტომანქანაში და თელავის პროკურატურაში წაიყვანეს. სამართალდამცავები 15 ივნისს ლ.ჩოფიკაშვილსა და ა.ბახუტოვს შორის მომხდარი შელაპარაკებით დაინტერესდნენ. მეორე დღეს, ლაშა ჩოფიკაშვილთან კვლავ მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები და თელავის საავადმყოფოში წაიყვანეს, ვენიდან სისხლი აუღეს და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად გაასინჯეს ექიმს, რომლისგანაც ჩოფიკაშვილმა შეიტყო, რომ კისრის ძვალი ჰქონდა დაზიანებული.

ალექსი (გოჩა) ბახუტოვის განმარტებით, 2007 წლის 27 ივნისს სოფ. ფშაველში, ნათან ზათიაშვილის ფერმაში, ის დააკავეს ქ.თელავის რაიონის სოფ.ნაფარეულის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც იარაღის მუქარითა და ცემით აიძულებდნენ ეთქვა, სად ჩამარხა ლ.ჩოფიკაშვილის გვამი. ნაფარეულის პოლიციის თანამშრომელი გოჩა, მეტსახელად „თავა“, მას სიკვდილითაც ემუქრებოდა. ნაფარეულის პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს ა. ბახუტოვის გერი ირაკლი ციციშვილი, რომელსაც ასევე ცემით აიძულებდნენ დაესახელებინა ლაშა ჩოფიკაშვილის ადგილსამყოფელი. დაახლოებით დამის 11:00 საათზე ალექსი ბახუტოვს დაუკავშირდა მისი გერი და ფერმაში შეხვედრა სთხოვა. ადგილზე მას რამდენიმე პოლიციელი დახვდა, ხელბორკილები დაადეს და ცემა დაუწყეს. იქვე იმყოფებოდა ა.ბახუტოვის მეუღლე ინდირა იზორია, რომლის მიმართულებითაც პოლიციელმა გოჩამ რამდენჯერმე გაისროლა. შემდეგ ა.ბახუტოვი და მისი გერი გადაიყვანეს ნაფარეულის პოლიციაში, სადაც გაგრძელდა მათი ფიზიკური შეურაცხყოფა. გაუსაძლისი წამების ფონზე ირაკლი ციციშვილმა აღიარა, რომ მისმა მამინაცვალმა მოკლა ლ.ჩოფიკაშვილი, ხოლო გვამის დამალვაში თავად დაეხმარა. ასევე ცემისა და წამების შედეგად ალექსი ბახუტოვმა აღიარა მკვლელობა.

სოფ.ნაფარეულის განყოფილების პოლიციელმა გოჩამ, იგივე „თავამ“ და ნუგზარ ზათიაშვილმა არაადამიანური მოპყრობით აიძულეს ალექსი ბახუტოვი ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვის თანამონაწილეებად დაესახელებინა მისი ნაცნობი ახალგაზრდები ასლან გაუარაშვილი, ალექსი ცოციაშვილის და ვეფხო ხაჩოშვილი. „დანაშაულის“ აღიარების შემდეგ, მეორე დღით ის წაიყვანეს შემთხვევის ადგილზე, სადაც ბახუტოვმა აჩვენა მკვლელობის ადგილი. ეს ფაქტი თელავის პოლიციის თანამშრომლებმა ვიდეოკამერით დააფიქსირეს. მას შემდეგ, რაც ლაშა ჩოფიკაშვილის გვამი ვერ იპოვეს, სამართალდამცავებმა კვლავ გააგრძელეს ალექსი ბახუტოვისა და ირაკლი ციციშვილის ცემა, რათა მათ ზუსტად დაესახელებინათ ის ადგილი, სადაც გვამი გადამალეს. ბახუტოვი ვეღარ უძლებდა ფიზიკურ ზეწოლას და პოლიციელებს სხვადასხვა ადგილს უჩვენებდა. ამ დროს ერთ-ერთმა პოლიციელმა მას ფეხი ჩაარტყა მუცლის არეში, იარაღი მიადო სახეზე და დაემუქრა, ხოლო ნუგზარ ზათიაშვილი ჯოხს ურტყამდა კისერში. საბოლოოდ

სამართალდამცავებმა „დაასკვნეს,“ რომ გვამი მდინარე სტორში გადაადგეს (რომელიც მსჯავრდებულის განმარტებით არ არის ღრმა და იქ შეუძლებელია რაიმეს გადამალვა).

2007 წლის ოქტომბრის თვის დასაწყისში ა.ბახტუროვმა გამომძიებლისა და ადვოკატისგან შეიტყო, რომ, გარდაცვლილი ლ.ჩოფიკაშვილი ცოცხალია და ამ ხნის განმავლობაში მთაში სამოვრებზე იმყოფებოდა. გამომძიებელმა ზ.წიკლაურმა მას ასევე აცნობა, რომ, ჩოფიკაშვილმა მისცა ჩვენება მის წინააღმდეგ და თქვა, რომ ბახტუროვმა კეტი ჩამარტყაო, რის შემდეგაც იგი გადავარდა წყალში, ხოლო გონზე მოსული სოფელს გაერიდა. მსჯავრდებულის მტკიცებით, გამომძიებელი დაპირდა, რომ მის მიერ ჩოფიკაშვილის არ ჩადენილი მკვლელობა გადაკვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა მუხლზე, თუმცა მისთვის ჯერ უცნობია რა კვალიფიკაციას მიანიჭებს პროკურატურა ცოცხალი ჩოფიკაშვილის არსებობას.

ა. ბახუტოვის გერის, ირაკლი ციციშვილის განმარტებით, 2007 წლის 13 ივნისს ლ.ჩოფიკაშვილთან და მამინაცვალთან ერთად იმყოფებოდა სუფრაზე ნათან ზათიაშვილის მეცხოველეობის ფერმაში. ამ ორ პირს შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება და ბახუტოვმა ჩოფიკაშვილს ხელი გაართქვა. ირაკლი ციციშვილმა ისინი გააშველა. შემდეგ ღვინის სმა მინდორში გააგრძელეს. მოგვიანებით, ლ.ჩოფიკაშვილი დაბრუნდა ფერმაში, ა.ბახუტოვი კი დარჩა მინდორში, რადგან ძლიერ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ი.ციციშვილი აცხადებს, რომ მეორე დღეს, დაახლოებით 14 საათისათვის მან ნახა ლ.ჩოფიკაშვილი და შესთავაზა მდინარეზე საბანაოდ ჩასვლა, რაზეც ამ უკანასკნელისგან მიიღო უარი და მას შემდეგ, სექტემბრის თვემდე ის აღარ უნახავს. 2007 წლის 18 ივნისს ი.ციციშვილთან მივიდა ნაფარეულის პოლიციის თანამშრომელი „თავა“ ორ პოლიციელთან ერთად და ი.ციციშვილსა და ა.ბახუტოვს ნაფარეულის პოლიციაში დაკითხვაზე წაყოლა მოსთხოვეს. პოლიციის განყოფილებაში მისვლისთანავე ი.ციციშვილი შეიყვანეს პოლიციის უფროსის ოთახში, სადაც სამართალდამცავებმა დაუწყეს გამოკითხვა, თუ რა შელაპარაკება მოხდა ა.ბახუტოვსა და ლ.ჩოფიკაშვილს შორის. ყველაზე მეტად აქტიურობდა ნაფარეულის განყოფილების პოლიციის თანამშრომელი გოჩა ნოღაშვილი, რომელიც სხვა სამართალდამცავებთან ერთად, რამდენიმე საათის განმავლობაში უმოწყალოდ სცემდა ი.ციციშვილს და აიძულებდა ელიარებიანა, თუ როგორ შემოაკვდა მის მამინაცვალს ლ.ჩოფიკაშვილი. ასევე აიძულებდნენ დაესმინა ნებისმიერი პიროვნება ვინც რაიმე უკანონო ქმედებებს ჩადიოდა სოფელში და სანაცვლოდ, მას და მის მამინაცვალს გათავისუფლებას ჰპირდებოდნენ. 2 საათის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.

2007 წლის 27 ივნისს გ.ნოღაშვილმა ორ პოლიციელთან ერთად კვლავ მიაკითხა ირაკლი ციციშვილს ზათიაშვილის კუთვნილ ფერმაში. სამართალდამცავებმა ბახუტოვი ავტომანქანით წაიყვანეს, ერთ საათში უკან დააბრუნეს და მანქანიდან გადმოაგდეს. ხოლო ი.ციციშვილს განუცხადეს, რომ სოფელ კისისხევში, ალექსი ბახუტოვის ძმისშვილს გადამალული ჰყავდა ლაშა ჩოფიკაშვილი და მათთან ერთად წასვლა მოთხოვეს. ირაკლი ციციშვილი შეეცადა განემარტა პოლიციელებისათვის, რომ ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ მას სახეში მუშტი ჩაართყეს და ნაფარეულის პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. განყოფილების უფროსის

თანდასწრებით ი.ციციშვილი რეზინის ხელკეტებით სცემეს. ამგვარი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგ, იგი ჩაიყვანეს სოფელ კისისხევში, სადაც ნახეს მისი მამინაცვლის ძმისშვილი ზაურ ბახუტოვი, რომელმაც, რა თქმა უნდა, უარყო ლ.ჩოფიკაშვილის იქ ყოფნა და შემდეგ უკან დაბრუნდნენ ნაფარეულის პოლიციაში, სადაც უკვე მიყვანილი ჰყავდათ ალექსი ბახუტოვიც, რომელსაც გოჩა ნოღაშვილი სასტიკად სცემდა და აიძულებდა ეღიარებინა ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის ადგილსამყოფელი. ირაკლი ციციშვილის მტკიცებით, გოჩა ნოღაშვილმა ხელკეტით გააგრძელა ციციშვილის ცემა, რა დროსაც მისმა მამინაცვალმა სთხოვა იქ მყოფ პოლიციელებს, რომ შეეწყვიტათ მისი გერის ცემა და ყველაფერს დაიბრალებდა, რასაც ეტყოდნენ.

2007 წლის 27 ივნისს ირაკლი ციციშვილმა მოწმის სახით დაკითხვის დროს აჩვენა „წავიღეთ ლ.ჩოფიკაშვილის ცხედარი და დავმარხეთ 1მეტრ -1,5 მეტრზე საგუბურებიდან დაახლოებით 700-800 მეტრზე, რა ადგილის ჩვენებაც მე შემიძლია.“

იმ დღეს ორივე დაკავებული ნაფარეულის პოლიციის განყოფილებაში დატოვეს, ხოლო მეორე დღეს წაიყვანეს სოფელ ფშაველში მდებარე ე.წ. „ნაწისქვილარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის ადგილსამყოფელის დასადგენად. რადგან გვამი ვერ აღმოაჩინეს, პოლიციელებმა გააგრძელეს მათი ცემა. შემდეგ ისინი თელავში, პოლიციის სამხარეო სამმართველოში გადაიყვანეს. სამმართველოს შენობაში მათ დახვდნენ სოფელ ჯუღაანში მცხოვრები ასლან გაუარაშვილი და ვეფხო ხაჩოშვილი, რომლებიც ასევე ჩოფიკაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით ჰყავდათ მიყვანილი. 28 ივნისს საღამოს ირაკლი ციციშვილი გაათავისუფლეს, ხოლო ალექსი ბახუტოვი, ასლან გაუარაშვილი, ვეფხო ხაჩოშვილი და იქ მყოფი ალექსი ცოციაშვილი სამმართველოში დატოვეს. იმ დღეს, როდესაც მის მამინაცვალს წინასწარ ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს, ირაკლი ციციშვილს დაურეკა გოჩა ნოღაშვილმა და გააფრთხილა, არაფერი ეთქვა მათზე განხორციელებულ ფიზიკური ძალადობის ფაქტზე, ასევე დასძინა, რომ იმყოფებოდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. ირაკლი ციციშვილის მტკიცებით, სექტემბრის თვეში მასთან მივიდა გოჩა ნოღაშვილი უცხო პოლიციელთან ერთად, რომლებმაც იგი აიძულეს გაჰყოლოდა სოფ. რუისპირში მდებარე ვინმე დურუს ფერმაში სამუშაოდ, სადაც მას ანაზღაურების გარეშე უნდა ემსახურა. ირაკლი ციციშვილი რამდენიმე დღე იძულებით მუშაობდა რუისპირში, საიდანაც სამი დღის შემდეგ გამოიპარა და ძველ სამუშაო ადგილას დაბრუნდა. შესაბამისად, ირაკლი ციციშვილი სამი დღის განმავლობაში გახდა იძულებითი შრომის მსხვერპლი, რაც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

დაახლოებით ოქტომბრის თვის დასაწყისში ირაკლი ციციშვილი პოლიციის თანამშრომლებმა მიიყვანეს ქ.თელავის რაიონულ პროკურატურაში, სადაც მას ლაშა ჩოფიკაშვილი დახვდა, რომელსაც ეკითხებოდნენ, თუ სად იმყოფებოდა ამ ხნის განმავლობაში და რა მოხდა 15 ივნისს. ჩოფიკაშვილის სამართალდამცავებს არწმუნებდა, რომ მისთვის ხელი არავის უხლია და თავის ნებით იყო ცხვარში წასული. მეორე დღეს, ლაშა ჩოფიკაშვილი და ირაკლი ციციშვილი კიდევ ერთხელ დაიბარეს პროკურატურაში. ლ.ჩოფიკაშვილმა მოულოდნელად განაცხადა, რომ ალექსი ბახუტოვმა მას ჯოხი ჩაარტყა თავში და დააგდო. ირაკლი ციციშვილის მტკიცებით, შემდეგ მას შეხვდა გოჩა ნოღაშვილი, რომელმაც მობილური ტელეფონი

ჩაარტყა თავში და სასტიკად გააფრთხილა, არაფერი ეთქვა მათ საწინააღმდეგოდ, გახმაურების შემთხვევაში კი სიკვდილით დაემუქრა. ირაკლი ციციშვილი აღნიშნავს, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ცემისა და წამების შედეგად აწუხებს მარჯვენა თვალზე სიმძიმის შეგრძნება. ის ვერ მიმართავს ექიმს, რადგანაც არ აქვს საშუალება და ამასთანავე, პოლიციელებმა სოფლის დატოვება აუკრძალეს.

ა.ბახუტოვის მეუღლიც, ინდირა იზორია ადასტურებს მეუღლისა და შვილის ახსნა-განმარტებებს და აცხადებს, რომ აღნიშნული შემთხვევის შესახებ ანალოგიური ჩვენება მისცა გამომძიებელსაც, რომელმაც მას ცარიელ ფურცელზე მოაწერინა ხელი.

ალექსი ცოციაშვილის განმარტებით 2007 წლის 27 ივნისს თელავის შს სამმართველოში მას ჩამოართვეს ჩვენება ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით. მან გამომძიებელს აუხსნა, რომ 11 ივნისიდან 18 ივნისამდე იმყოფებოდა ყვარელში მამამისის მეგობარ ავთო დათულაშვილთან ერთად, აქედან გამომდინარე მას არაფერი საერთო ხსენებულ მკვლელობასთან არ შეიძლებოდა ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, იქ მყოფმა სამართალდამცავებმა განუმარტეს, რომ მის მიერ მიცემულ ჩვენებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ალექსი ბახუტოვმა და ირაკლი ციციშვილმა ის ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვის მონაწილედ დაასახელეს. ამ საგამომძიებო მოქმედების შემდეგ, ალექსი ცოციაშვილი დააკავეს და გადაიყვანეს ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც შეხვდა ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ალექსი ბახუტოვს, რომელსაც ჰქონდა ფიზიკური დაზიანებები და მასთან საუბარში აღიარებდა, რომ ძლიერი ცემის შედეგად, პოლიციის მოთხოვნით, ცრუდ დაასახელა ალექსი ცოციაშვილი, ასლან გაუარაშვილი და ვეფხვია ხაჩოშვილი.

ბრალდებულების ასლან გაუარაშვილისა და ვეფხვია ხაჩოშვილის განმარტებებიდან ასევე იკვეთება, რომ 2007 წლის 27 ივნისს ისინი მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და ბრალი დასდეს ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის დამალვაში. მათ ასევე აჩვენეს ბრალდებულ ალექსი ბახუტოვის ჩვენების რამდენიმე ვიდეოჩანაწერი, სადაც ის განსხვავებულ ჩვენებებს იძლეოდა ჩოფიკაშვილის მკვლელობასა და მისი გვამის გადამალვის თაობაზე. იმავე სადამოს, თელავის შს სამხარეო სამმართველოს პირველ სართულზე ასლან გაუარაშვილი შეხვდა ალექსი ბახუტოვს, რომელიც იყო ძლიერ ნაცემი და დაზიანებები აშკრად ეტყობოდა. აქვე იმყოფებოდა ინდირა იზორია, რომლისგანაც ალექსი ცოციაშვილმა, ასლან გაუარაშვილმა და ვეფხვია ხაჩოშვილმა შეიტყვეს ალექსი ბახუტოვისა და ირაკლი ციციშვილის მიერ მათი ცრუდ დასმენის მიზეზი. ასლან გაუარაშვილსა და ვეფხვია ხაჩოშვილს ასევე შეეფარდათ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა და ისინი გადაყვანილი იქნენ სად-ის #5 საპყრობილეში. ვეფხვია ხაჩოშვილის მტკიცებით, მასთან საპყრობილეში მისული ადვოკატი ლეილა გარსევანიშვილი თხოვდა ელიარბინა პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასამართლო არჩადენილი დანაშაულისათვის გაასამართლებდა.

სახალხო დამცველმა შეისწავლა ალექსი ბახუტოვის განცხადება, მისი წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ და ესაუბრნენ, როგორც ბრალდებულს, ასევე დანაშაულის მსხვერპლს - გარდაცვლილად გამოცხადებულ ლაშა ჩოფიკაშვილს, რომელიც ცოცხალია და ჯანმრთელი. რაც ცხადია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ

ა.ბახუტოვი სასჯელს იხდის იმ დანაშაულის გამო, რომელიც რეალურად არ ჩაუდენია.

საქმის გარემოებების მიხედვით 2007 წლის 15 ივნისს ალექსი ბახუტოვი მისი გერი, ირაკლი ციციშვილი და ლაშა ჩოფიკაშვილი იმყოფებოდნენ ნათან ზათიაშვილის ფერმაში, სადაც ბახუტოვსა და ჩოფიკაშვილს შორის მოხდა მოხდა მცირე სიტყვიერი შეკამათება, რომელიც მალევე აღმოიფხვრა. მხარეები დასცილდნენ ერთმანეთს.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2007 წლის 21 ნოემბერს, თელავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ასლან გაუარაშვილის, ალექსი ცოციაშვილის და ვეფხვია ხაჩოშვილის საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდათ ცოცხალი ლ.ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვაში ალექსი ბახუტოვისათვის დახმარების გაწევა. ამ დროისათვის, როგორც პროკურატურისთვის, ასევე სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ „მკვდარი“ ჩოფიკაშვილის სოფელში გამოჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლო პროცესზე ბრალდებულ ასლან გაუარაშვილს, ალექსი ცოციაშვილს და ვეფხვია ხაჩოშვილს სთხოვდნენ ელიარებინათ ცოცხალი ადამიანის „გვამის“ გადამალვა, სანაცვლოდ კი, თავისუფლებას პირდებოდნენ.

2007 წლის 22 ნოემბერს, კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორს ზ.ჯავახიშვილსა და განსასჯელებს ვ.ხაჩოშვილს, ა.ცოციაშვილსა და ა.გაუარაშვილს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ბრალზე და სასჯელზე შეთანხმების თაობაზე. იმავე დღეს პროკურორმა შუამდგომლობების დამტკიცების მოთხოვნით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც შუამდგომლობები დააკმაყოფილა და დაამტკიცა.

თუმცა, საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის მიერ შედგენილ ოქმებსა და შუამდგომლობების მიხედვით არ ვლინდება განსასჯელთა მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ რისი ჩადენა აღიარეს განსასჯელებმა ვ.ხაჩოშვილმა, ა.ცოციაშვილმა და ა.გაუარაშვილმა. მაშინ როდესაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679 მე-2 პრიმა მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა უნდა შეიცავდეს, ბრალდების ფორმულირებას, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერას მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხისა თუ საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679 მესამე პრიმა მუხლის 2 ნაწილის ა) პუნქტის თანახმად:

2. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს რომ:

ა) ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ედება ბრალი;

პროცესის მსვლელობისას პროკურორმა განაცხადა, რომ ის პრაქტიკულად ორი თვის მანძილზე ეხვეწებოდა ასლან გაუარაშვილს, ალექსი ცოციაშვილს და ვეფხვია ხაჩოშვილს ელიარებინათ წარდგენილი ბრალი და დაედოთ საპროცესო შეთანხმება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულების გამოჩენამ პროცესის მონაწილეთა შორის დაბნეულობა გამოიწვია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსამართლემ ფორმალობების დაცვითა და ზოგადი კითხვებით წარმართა სხდომა, რაც უდანაშაულო პირების მსჯავრდებით დასრულდა. 2007 წლის 22 ნოემბერს თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაიდო საპროცესო შეთანხმება, რის საფუძველზეც ბრალდებულები სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას ბრალდებულებმა, განმარტეს, რომ მართალია დანაშაული მათ არ ჩაუდენიათ, მაგრამ არ აქვთ სამართლიანი სასამართლოს იმედი, ამიტომ იძულებულნი არიან არჩადენილი დანაშაული აღიარონ.

ახსნა-განმარტებებიდან და საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ასევე დგინდება, რომ ალექსი ბახუტოვი და მისი გერი ირაკლი ციციშვილი ნაფარეულის პოლიციის განყოფილებისა და კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ, მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენებით, დაექვემდებარნენ წამებასა და წამების მუქარას, რათა მათ ელიარებინათ ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობის ფაქტი ან რაიმე სახის ინფორმაცია, ხსენებულ დანაშაულთან დაკავშირებით.

რადგან საბრალდებო დასკვნითა და სასამართლოს განაჩენით გარდაცვლილად მიჩნეული ლაშა ჩოფიკაშვილი ცოცხალი და უვნებელია, აქედან გამომდინარე უტყუარად იკვეთება, რომ მსჯავრდებულ ალექსი ბახუტოვისა და მისი გერის ირაკლი ციციშვილის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული იძულებითი ჩვენებები დანაშაულის დაბრალებისა და ამასთანავე ასლან გაუარაშვილის, ალექსი ცოციაშვილისა და ვეფხო ხაჩოშვილის დასახელება ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვის მონაწილეებად, მიღებული იქნა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ძლიერი ფიზიკური და მორალური ზეწოლით, რაც თავისთავად, ალბათობის მაღალი ხარისხით შეიძლება მივიჩნიოთ მსჯავრდებულ ბახუტოვისა და მისი გერის, ირაკლი ციციშვილის ცოცხლად გადარჩენის ერთადერთ შანსად.

ალექსი ბახუტოვის ფიზიკური დაზიანების ფაქტები დასტურდება სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყვარლის რაიონის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალიდან, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 27 ივნისს დაკავებული ალექსი ბახუტოვი დმი-ში შეყვანილი იქნა 23 საათსა და 30 წუთზე, მას აღენიშნებოდა შემდეგი სახის დაზიანებები: მარცხენა თვალის ქუთუთო ჩაშავებული, ცხვირზე ნაკაწრი და მარცხენა მხარზე ნაკაწრი, ხოლო 2007 წლის 29 ივნისს სად ქ.თბილისის #5-ე საპყრობილეში შეყვანისას მას აღენიშნებოდა მუქი შინდისფერი სისხლჩაქცევა მარცხენა თვალბუდის არეში, მარცხენა ბეჭისა და მარჯვენა თემოს ფრთის მიდამოში

და აღნიშნულია, რომ ა.ბახუტოვის გადმოცემით აღნიშნული დაზიანებები მიიღო პოლიციის განყოფილებაში.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს დაეწყო გამოძიება 144¹, 144², 333, და 143¹ და მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებებისათვის.

2007 წლის 19 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გააუქმა თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი და საქმე დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის.

* * *

პოლიციის რეფორმის შედეგები უნდა იყოს გაზომვადი საზოგადოებისთვის, რაც ნიშნავს, რომ ის რეალურ ცხოვრებაში, მოქალაქეთა საჩივრების რაოდენობასა და შინაარსში, სხვადასხვა ორგანიზაციების მოხსენებებსა თუ საზოგადოების განწყობაში უნდა აისახებოდეს.

ამავე დროს, პოლიციის რეფორმა მიმართული უნდა იყოს მსოფლიოში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და საზოგადოების ინტერესების უფრო ფართო გათვალისწინებისკენ.

რეპრესიული და ძალადობრივი სისტემა დანაშაულის პრევენციის განმახორციელებელმა და ადამიანის უფლებათა დამცველმა ინსტიტუტმა უნდა შეცვალოს.

სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა

ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით საქართველოში სასჯელადსრულების სისტემა კვლავ ერთ-ერთი ყველაზე რთული უბანია.

პრობლემას წარმოადგენს როგორც სასჯელადსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, ასევე ის პირობები, რომლებშიც პატიმრები საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული, წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ქვეშ იმყოფებიან.

2005 წლიდან სახალხო დამცველის აპარატი ინტენსიურ მონიტორინგს სასჯელადსრულების დაწესებულებებშიც ახორციელებდა. მხოლოდ 2005 წელს - 400 – მდე, ხოლო 2006 წელს 600-მდე ვიზიტი განხორციელდა სასჯელადსრულების დაწესებულებებში.

2004 წლიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ახალი ხელმძღვანელობის მისვლის შემდეგ მდგომარეობა სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა.

2005 წლამდე ამ სისტემაში არსებული ვითარება რამდენიმე სიტყვით შეიძლება აღიწეროს. აქ იყო გამეფებული ტოტალური კორუფცია, ციხეებს მართავდნენ ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები – ე.წ. „კანონიერი ქურდები“ და მათი მიმდევრები. ისინი ყოველთვის კრეფდნენ ფულს ყველა პატიმრისგან, რასაც შემდეგ ადმინისტრაციასაც უნაწილებდნენ. სწორედ ამიტომ „კანონიერი ქურდები“ სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. მათი საკნების კარები არასდროს იკეტებოდა, ისინი თავისუფლად დასაქმდებოდნენ ციხის მთელ ტერიტორიაზე, აკონტროლებდნენ ყველაფერს და ადასრულებდნენ პარალელურ „მართლმსაჯულებას“. ნებისმიერი პირი, ვინც ე.წ. „ქურდულ კანონებს“ არ დაემორჩილებოდა, სისტემაში იჯებოდა, ხშირად სიკვდილითაც კი. როგორც წესი, ასეთი მკვლელობები გამოუძიებელი რჩებოდა. სხვა გადატვირთული საკნების ფონზე ქურდებს საკნებში ჰქონდათ ფუფუნების ყველანაირი საშუალება – ცხელი წყალი, საუკეთესო ტელევიზორები, მაცივრები, ტახტები, ჯაკუზი...

2005 წლის დეკემბრის ბოლოდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელობამ დაიწყო სერიოზული ბრძოლა სასჯელაღსრულების სისტემაში გამეფებული კორუფციისა და ე.წ. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ და ამ მხრივ, სერიოზულ შედეგებსაც მიაღწია. თუმცა, სამწუხაროდ, ამ პოლიტიკის გატარებას ხშირად თან ახლდა პატიმრების ცემა, წამება.

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მოპყრობას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული საცხოვრებელი პირობებიც ემატებოდა, რაც ცალსახად შეიძლება შეფასდეს, როგორც წამება და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

პატიმართა კვება

2006 წლის პირველ ნახევარში მეტად პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა პატიმრების კვება. პრაქტიკაში გამოვლენილ საკვების პრობლემასთან დაკავშირებით საუბრობდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან არსებული კომისიებიც.

იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებების შესაბამისად, გარკვეულ დაწესებულებებში (#7, #2, #6 საპყრობილებებში) გაიზარდა სასურსათო ულუფები. ამავე დაწესებულებებში „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 4 აპრილის #380 ბრძანების საფუძველზე აიკრძალა ამანათების მიღება-გაგზავნა. შესაბამისად, პატიმართა კვება მთლიანად საპყრობილის მომარაგებაზე გახდა დამოკიდებული, რამაც მიუხედავად კვებისათვის გამოყოფილი თანხის გაორმაგებისა, აშკარა გახდა რაციონის ერთფეროვნება და ულუფების სიმცირე.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ზემოაღნიშნულს ხსნიდნენ იმითი, რომ უახლოეს მომავალში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იხსნებოდა მაღაზიები. ამჟამად გახსნილია რუსთავის #2, რუსთავის #6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ქსნის #7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თბილისის #5 ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებაში, ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ქუთაისის #2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში.

განათება, ვენტილაცია

განათება და ვენტილაციაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს.

საკნების განათება და ვენტილაცია გადატვირთულობასთან ერთად სასჯელაღსრულების სისტემაში ქმნიდა არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებს. ახლად აშენებული საპყრობილეების გარდა (რუსთავის #6 და ქუთაისის #2 საპყრობილე), არც ერთ საპყრობილეში იყო დამონტაჟებული ბუნებრივი ვენტილაცია. 2006 წლის ზაფხულში იგი დაამონტაჟეს ქ.თბილისის #7 საპყრობილეში, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის.

სავარაუდოდ, საპყრობილეების გადატვირთულობამ და იქ სათანადო ვენტილაციის არარსებობამ ზაფხულის სიცხის პირობებში გამოიწვია პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება და ხელი შეუწყო 2006 წლის მარტიდან სექტემბრამდე 33 პატიმრის გარდაცვალებას საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის საპყრობილესთან არსებული საზოგადოებრივი კომისიის დიდი ძალისხმევით შედეგად 2006 წლის ზაფხულში მოიხსნა გისოსები #4 საპყრობილის ფანჯრებიდან და შემდეგ 2006 წლის აგვისტოში - ქ.თბილისის #5 საპყრობილის ფანჯრებიდანაც (წლების განმავლობაში აღნიშნული წარმომადგენდა როგორც სახალხო დამცველის, ისე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაცია და აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მაშინ განხორციელდა, როცა აუტანელი სიცხისა და გადატვირთულობის დროს დღეში ერთი პატიმარი იღუპებოდა).

საქართველოს #1 და #5 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული კარცერები სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი ბნელი საკნები იყო. ისინი იმდენად მიწის სიღმეში იყო, რომ სრული სიბნელე სუფევდა და არ აღწევდა ბუნებრივი განათება, არ არსებობდა ბუნებრივი ჰაერი და შესაბამისად არ ხდებოდა ვენტილაცია. სინესტე და ანტისანიტარია მწვავე პრობლემას წარმოადგენდა.

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი საქართველოსთან დაკავშირებით თავის რეკომენდაციაში ჯერ კიდევ 2003 წელს საუბრობდა კარცერების გაუქმებაზე #1 და #5 საპყრობილეებში და აღსანიშნავია, ზემოაღნიშნულ არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ პატიმრები დიდი ხნის განმავლობაში, სანამ იუსტიციის

სამინისტრომ არ გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა კომისიის, თომას ჰამარბერგის, რეკომენდაცია კარცერების დაუყოვნებლივ გაუქმებაზე და 2006 წლის აგვისტოში გააუქმა #1 და #5 საპყრობილის კარცერები.

პატიმართა ჰიგიენა

რთული მდგომარეობაა პირადი ჰიგიენის თვალსაზრისით სასჯელაღსრულების უმეტეს დაწესებულებაში.

#7 მკაცრი რეჟიმის საპყრობილის მონიტორინგის პროცესში სახალხო დამცველმა პატიმართა მძიმე მდგომარეობა და მათი უფლებების დარღვევის უამრავი ფაქტი აღმოაჩინა, კერძოდ, 2006წ. აპრილში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #7 საპყრობილეში არ იყო პირადი ჰიგიენის დაცვის პირობები, აუცილებელი ნივთები და საშუალებები (საპონი, ტუალეტის ქაღალდი, საპარსი საშუალებები, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, კედლის სარკე, მაკრატელი და ა.შ.), ამასთან, არ ჰქონდათ საწოლის თეთრეული. მიუხედავად იმისა, რომ საკნებში არ დგას კარადები, პატიმრებს არ აძლევდნენ ცელოფანის პარკების ქონის უფლებას და საჭმელი და ტანსაცმელი ერთად ეწყობთ პატარა მაგიდებზე.

პატიმრები იანვრიდან მაისის თვემდე არ დაჰყავდათ აბანოში. ამ ხნის განმავლობაში მათ ერთხელაც არ მიუღიათ შხაპი. სახალხო დამცველის რეკომენდაცია აღნიშნულთან დაკავშირებით გაზიარებული იქნა და აღდგა პატიმართა წაყვანა აბანოში. თუმცა, ნაცვლად კანონით გათვალისწინებული ყოველკვირეული შხაპისა, პატიმრები შხაპს მხოლოდ ორ-სამ კვირაში ერთხელ იღებდნენ.

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ ჰიგიენური საშუალებების შეტანასთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოს საპყრობილეებში არ იყო ოფიციალური დოკუმენტი და ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა დეპარტამენტიდან მიღებული ზეპირი მითითებებით.

2006წ. ივნისში საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ე. ჰ-მ, რომელიც მიუთითებდა, რომ მისი ძმა, დ.ხ., იმყოფებოდა ქ.თბილისის #5 საპყრობილეში, იყო შეურაცხადი და მოითხოვდა მის ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაყვანას. საპყრობილის ადმინისტრაციამ 2006წ. ივნისში გააგზავნა დ.ხ. ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე, მაგრამ იგი არ მიიღეს იმ მიზეზით, რომ იმყოფებოდა ანტისანიტარიულ მდგომარეობაში.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები პირადად ესაუბრნენ #5 საპყრობილის დირექტორს, თ.მელაძეს, აცნობეს აღნიშნული ვითარების შესახებ და მხოლოდ მათი ჩარევის შედეგად მოხდა დ.ხ.-ს დაბანა, გასუფთავება და მის ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაყვანა.

ვიდეოთვალი ე.წ. „კანონიერი ქურდების“ პალატაში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულნი არიან პაციენტები ე.წ. „კანონიერი ქურდები“ ჯ.შ. და მ.ზ. დაწესებულების დირექტორისგან, ა.მუხამისაგან, **სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ეცნობათ**, რომ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ე.წ. „კანონიერი ქურდების“ საცხოვრებელ პალატაში დამონტაჟებულია ვიზუალური კონტროლის საშუალება.

არც ერთ მათგანს, თავიანთი დაავადებების გამო, არ აქვთ დამოუკიდებლად გადაადგილების საშუალება და ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ მათსავე საცხოვრებელ პალატაში, რაც წარმოადგენს თვალთვალის ობიექტს.

მიგვაჩნია, რომ ამ ფორმით განხორციელებული თვალთვალი წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რადგანაც იგი ხორციელდება პატიმრის ცხოვრების მეტად ინტიმურ მომენტებზე. ამგვარი მოპყრობა მიზნად ისახავს თავისუფლებადკვეთილი პირის დაკნინებას, რადგან გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას პატიმრების მიმართ. საეჭვოა, რომ მძიმედ დაავადებულ პირი, რომელიც მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, ხშირად ექვემდებარება სხვადასხვა სახის შემოწმებას, სასჯელაღსრულების დაწესებულების სპეციალური დანაყოფების მუდმივ კონტროლს, ისეთ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს საპირფარეშოთი სარგებლობის დროს, რომ საჭირო გახდეს მისი ვიზუალური თვალთვალი.

საპატიმროთა გადატვირთულობა

სამწუხაროდ, გადატვირთულობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აღარ წარმოადგენს სიახლეს და საზოგადოება თანდათან ეჩვევა კიდევ, რომ ერთ ადგილზე სძინავს 2-3, ზოგჯერ კი მეტ - 4 და 5 პატიმარსაც კი. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლამ სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო და დამოუკიდებელი კომისიების მიერ აჩვენა, რომ ვითარება საგანგაშოა და სასწრაფოდ საჭიროებს ზომების მიღებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს, გადატვირთულობის პრობლემა მოხსნას ახალი ციხეების აშენებით.

ზემოაღნიშნული მეტ-ნაკლებად მოხსნის გადატვირთულობის პრობლემას, თუმცა მარტო ეს საკმარისი არ არის და საჭიროა სასამართლო ორგანოების ძალისხმევაც აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძოდ, მეტად იქნეს გამოყენებული ალტერნატიული, არასაპატიმრო სასჯელები.

სამედიცინო მომსახურება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

მეტად პრობლემურია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების საკითხი. 2006 წლის პირველი ნახევრის შემდეგ ვითარება არ

გაუმჯობესებულა. თითქმის გაორმაგდა სიკვდილობის მაჩვენებელი, კერძოდ 2006 წლის პირველ ნახევარში იყო 33% და მეორე ნახევარში - 67%.

2007 წლის 20 თებერვალს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა 29 წლის პატიმარი რ.მ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, „პატიმრის გარდაცვალების მიზეზი: თავის ტვინის მოცულობითი პროცესის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობა“ გახდა. ავადმყოფობის ისტორიის მიხედვით, გაურკვეველია თუ რა კრიტერიუმებით დაესვა პაციენტს დიაგნოზი.

საყურადღებოა, რომ ნევროლოგიური/ნეიროქირურგიული პროფილის პაციენტს მკურნალობენ არაპროფილურ - თერაპიულ განყოფილებაში. ექიმ-ექსპერტთა აზრით მკურნალობა აშკარად არაადეკვატურია. მკურნალობის სქემაში ჩართულია პრეპარატები, რომელთა დანიშვნა კონკრეტულ მდგომარეობაში უკუნაჩვენებია. ისტორიაში არსებული ჩანაწერები არათანმიმდევრულია, ხშირად არალოგიკური და კომიკურიც.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ავადმყოფთა მკურნალობისა და მოვლის საკითხებზე ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება თუ სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში წავიკითხავთ შემდეგს – “გვამს და ტანსაცმელს ახვევია ტილები. პირისახეზე მოზრდილი აქვს წვერ ულვაში... უკანა ტანის მიდამო მოსვრილია მოყავისფრო ფერის განავლოვანი მასებით, ასევე ტრუსი და შორისის მიდამოც...”.

ექსპერტიზა მიდის დასკვნამდე, რომ პაციენტის „სიკვდილის მიზეზია მძიმე ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობა“. გარდაცვლილს აღენიშნებოდა თავის ტვინის, გულის, ფილტვების ბრონქების, ლიმფური კვანძების, ღვიძლის, ნაწლავებისა და თირკმლების მძიმე დაზიანებები. მიუხედავად ამისა, ავადმყოფობის ისტორიის მიხედვით პაციენტს ამ ორგანოთა მხრივ პრობლემა არ ჰქონია. ისტორიაში რამდენჯერმე დაფიქსირებული, რომ გასინჯვით ავადმყოფის ფილტვები ნორმაშია; იგივე დასკვნა გამოაქვთ რენტგენოგრაფიის შემდეგ. იმ შემთხვევაშიც კი, პაციენტისათვის დასმული დიაგნოზი რომ დადასტურებულიყო, მკურნალობის პროცესი აშკარად შეუსაბამოა. ექვემ დგება იმ ექიმთა კვალიფიკაციის საკითხი, რომელთა მიერ დასმული დიაგნოზი კარდინალურად განსხვავდება რეალურად არსებულისაგან! ან თუნდაც ამ დიაგნოზით „მკურნალობდნენ“ ავადმყოფს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი ფაქტობრივად წარმოადგენს 29 წლის ახალგაზრდა პაციენტის „სამედიცინო მკვლელობის“ დინამიკას. მასში მონაწილეობას იღებდა ყველა ის პირი, რომელიც თავისი უშუალო ქმედებით ან უმოქმედობით გულგრილად შეჰყურებდა განვითარებულ მოვლენებს. უმთავრესი მიზეზი კი ალბათ მაინც ის დაწესებულებაა, რომელშიც ეს ტრაგედია განვითარდა. დაწესებულება, რომელიც არ ექვემდებარება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემას. მასზე არ ვრცელდება ჯანდაცვის კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, კანონქვემდებარე აქტები და საექიმო ეთიკის

არანაირი პრინციპები. ადეკვატური მკურნალობის პირობებში ავადმყოფს მდგომარეობიდან გამოსვლის შანსი ჰქონდა.

საკითხი შესასწავლად გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას² და ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს.

სასჯელაღსრულების სისტემაში ძირითადად გვხვდება პატიმრები ტუბერკულოზით, ვირუსული ჰეპატიტებით, გულსისხლძარღვთა სისტემისა და ნევროლოგიური დაავადებებით, რასაც ხელს უწყობს არსებული პირობები: სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, დაწესებულებაში ცხოვრების არაადეკვატური რეჟიმი, გადატვირთულობა და სამედიცინო კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მწვავე დეფიციტი.

პრობლემას წარმოადგენდა ავადმყოფი პატიმრის სამედიცინო შემოწმება და მისი სამკურნალოდ სხვა დაწესებულებაში გადაყვანა. ხშირად აღნიშნული მხოლოდ სახალხო დამცველის ჩარევის შედეგად ხორციელდებოდა.

გიორგი მიქიაშვილის საქმე²

2005 წლის 29 ოქტომბერს ქ.თბილისში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს გიორგი მიქიაშვილი. მას ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ). დაკავებულს თავის არეში აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც, მისი განმარტებით, დაკავების დროს პოლიციელთა მიერ ცემის შედეგად მიიღო. 20 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველი დაინტერესდა გიორგი მიქიაშვილის საქმით, მის ფიზიკური შეურაცხყოფასთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება პოლიციის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით. მოგვიანებით საქმეზე გამოძიება შეწყდა დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო.

მიქიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება და მოათავსეს თბილისის #5 საპყრობილეში. 2005 წლის 11 ნოემბერს იგი საპყრობილიდან გადაიყვანეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და მოათავსეს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. მიქიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეამოწმეს ფსიქორეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის“ ექიმ-ფსიქიატრებმა (მ.ჯიშკარიანი, გ.ბერულავა, ხ.ჭყოიძე), რომელთა 2005 წლის 15 ნოემბრის დასკვნით მიქიაშვილის დაუდგინდა „მწვავე აფექტურ-ბოდვითი მდგომარეობა, ქალა-ტვინის დაზარალებული ტრამვული დაზიანება და თავის ტვინის შერყევა“. მიუხედავად ცენტრ „ემპათი“-ას ექსპერტთა არაერთი გაფრთხილებისა და წერილობითი დასკვნისა იმის შესახებ, რომ ავადმყოფი

² პაციენტის გვარი-სახელი დასახელებულია მისი ოჯახის წევრების თანხმობით.

საჭიროებდა სრულყოფილ გამოკვლევას და შემდგომ მკურნალობას, ავადმყოფი სტაციონარიდან გაწერეს. გაწერის შემდეგ, მდგომარეობის გაუარესების გამო, იგი სამ დღეში კვლავ დააბრუნეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

2006 წლის 15 აგვისტოს, გიორგი მიქიაშვილის განმარტებით, იგი სცემეს სად-ის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, მათ შორის, დირექტორის მოადგილემ გ.ბუთლიაშვილმა. სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის ასისტენტის, ექიმ ლევან ლაბაურის დათვალიერებით პატიმარს სხეულის სხვადასხვა ნაწილზე აღენიშნებოდა სისხლნაჟღერებები და ექსკორიაციები; ასევე შუბლის ძვლის მარჯვენა მხარეს, თავის თმოვან ნაწილში აღენიშნებოდა ტრავმის შედეგად განვითარებული ბორცვისებური წარმონაქმნები. ზემოაღნიშნულის შესახებ შედგა შესაბამისი ოქმი. მიქიაშვილი უსაფრთხოების მიზნით გადაიყვანეს საიზოლაციო პალატაში. უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. საიზოლაციო პალატები წარმოადგენს ტიპიურ „კარცერს“, სადაც საშინელი საყოფაცხოვრებო პირობებია და თავისთავად, იქ ყოფნა უკვე წარმოადგენს წამებას და ღირსების შემლახავ მოპყრობას.

გიორგი მიქიაშვილის ცემასთან დაკავშირებით 2006 წლის 15 აგვისტოს სახალხო დამცველმა ჩაატარა პრესკონფერენცია, სადაც მიქიაშვილის მიმართ მოპყრობა და მისი არაადამიანურ პირობებში გაჩერება წამებად შეაფასა. ამასთან დაკავშირებით იმავე დღეს სახალხო დამცველმა მიმართა იუსტიციის მინისტრს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესა და იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. სახალხო დამცველმა, ასევე, მოითხოვა, რომ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის“ ექსპერტებს მისცემოდათ საშუალება, სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი მიქიაშვილისთვის ჩატარებინათ ექსპერტიზა ფიზიკური დაზიანებების ხარისხის დასადგენად.

იუსტიციის სამინისტროდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში 16 აგვისტოს დაიწყო წინასწარი გამოძიება მიქიაშვილის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით; ასევე, რომ ექსპერტებს მიეცემოდათ საშუალება ექსპერტიზის ჩასატარებლად. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ მიქიაშვილს მიყენებული ჰქონდა მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის მოუშლელად, რომლებიც ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებოდა საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს (15 აგვისტო).

2006 წლის 16 აგვისტოს გიორგი მიქიაშვილი, უსაფრთხოების მიზნით, რუსთავის #6 საპყრობილეში გადაიყვანეს და მოათვსეს სამედიცინო ნაწილში. აღნიშნულ დაწესებულებაში არ არის ექიმ-ფსიქიატრი. სექტემბრის თვეში მიქიაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა (რვა საწოლი დაამტვრია, კედლიდან კაფელი ჩამოყარა, უნიტაზი მოგლიჯა, საკვების მიღებაზე უარი განაცხადა, ოჯახის წევრებთან შეხვედრა არ სურდა, იმდენად აგრესიული იყო, რომ მასთან შესვლას ციხის თანამშრომლები ვერ ახერხებდნენ). აშკარად საჭირო იყო მიქიაშვილის ქალაქის სპეციალიზირებულ ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაყვანა.

ვინაიდან გიორგი მიქიაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა იყო მძიმე და მისთვის სათანადო მკურნალობის აღმოუჩენლობა წამების ტოლფასი იყო, სახალხო დამცველმა 2006 წლის 31 ოქტომბერს რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბ.ახალაიას, რათა მომხდარიყო მიქიაშვილის გადაყვანა საერთო პროფილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში კვალიფიციური ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენის მიზნით; ასევე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს ზ.ადეიშვილს, რათა პროკურატურა შესულიყო სასამართლოში შუამდგომლობით გ.მიქიაშვილისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით განისაზღვრებოდა, შეიძლებოდა თუ არა მიქიაშვილის გაჩერება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. გენერალური პროკურატურიდან პასუხი არ იქნა მიღებული. 13 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ მიქიაშვილი გადაყვანილი იქნა ქვიტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 31 იანვარს პატიმრის გადაყვანა ქვიტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხდა სასამართლო დადგენილების საფუძველზე. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მანამდე არანაირი ზომა არ იქნა მიღებული პატიმრის საერთო პროფილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით.

28 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი მიქიაშვილს თავისუფლების აღკვეთის სახით მიუსაჯა წელიწადი და ექვსი თვე, განაჩენი მხარეების მიერ გასაჩივრდა; პროკურორი მისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა, დაცვის მხარე კი - მის გამართლებას) მოსამართლე მ.ჩოხელმა ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნა გ.მიქიაშვილის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა. 2006 წლის 23 იანვარს სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით მიქიაშვილს დაუდგინდა რეაქტიული ფსიქოზის სახით დროებითი ფსიქიკური აშლილობა და მდგომარეობიდან გამოსვლამდე განესაზღვრა ქვიტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნა.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პაციენტის მოთავსების შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო და დღითი-დღე უმჯობესდებოდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ მისთვის რომ უფრო ადრე აღმოეჩინათ კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, მისი მდგომარეობა ასე არ გამწვავდებოდა.

სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა და მიმართვების საფუძველზე 2006 წელს 18 პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეამოწმეს და შემდგომი მკურნალობის მიზნით გადაიყვანეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში **ფუნქციონირებდა** დილეგის ტიპის საიზოლაციო პალატები. კერძოდ: სახალხო დამცველის წარმომადგენლებს 2006 წლის 15 აგვისტოსა და 2007 წლის 13 თებერვალს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებების მოქმედი საიზოლაციო პალატების დათვალიერებისას თითოეულ მათგანში გაუსაძლისი **მდგომარეობა დახვდათ**. იქ არსებული პირობები თბილისის #1 საპყრობილისა და #5

საპრობილის კარცერებს ჰგავდა. სულ ასეთი 6 პალატიდან დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, მხოლოდ ერთი არ ფუნქციონირებდა. დანარჩენ პალატებში იყო სინესტე, სიცივე, ძირს ეყარა მყარი ნარჩენები, იდგა უსიამოვნო სუნი, არც ერთ მათგანში არა იყო ჩასმული ფანჯარა, არ მოქმედებდა ცენტრალური გათბობის სისტემა, დაბინძურებული საპირფარეშო ოთახისგან გამოყოფილი არ იყო, მთაბეჭდილება რჩებოდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ არ იწმინდებოდა, ვითარება არ პასუხობდა ელემენტარულ ჰიგიენურ სტანდარტებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ პალატებში ათავსებდნენ ფსიქიურად დაავადებულ პირებს, როცა მათ დაავადება განსაკუთრებით უმწვავედებოდათ, უნდა აღინიშნოს, რომ სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ფანჯრების ადგილას გამოწეული რკინის გისოსები თვითდაზიანების მიყენების ძალიან მარტივ საშუალებას წარმოადგენდა. დაწესებულების ადმინისტრაციამ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ თუ პატიმარს დაზიანების მიყენება მოუწევდა, კედელსაც მიარტყამდა თავს, ამიტომ გისოსების გასწორებას აზრი არ ჰქონდა. საიზოლაციო პალატები სწორედ ის ადგილია, რომელშიც რბილი კედლები უნდა იყოს.

სახალხო დამცველმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ პირობებში პატიმართა მკურანლობა შეუძლებელი იყო. პატიმრის იქ გაჩერება კიდევ უფრო გაართულებდა მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას.

2007 წლის აგვისტოს თვეში სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციამ განუცხადა, რომ ზემოაღნიშნული საიზოლაციო პალატები გაუქმებულია და იქ პატიმრებს აღარ ათავსებენ.

პატიმართა ცემა-წამების ფაქტები

სახალხო დამცველს მიმართავენ პატიმრების ოჯახის წევრები სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმრების ცემა-წამების ფაქტებთან დაკავშირებით.

ხელისუფლება პერმანენტულად აცხადებს, რომ აშენებს ლიბერალურ, დემოკრატიულ სახელმწიფოს და აღნიშნულის ფონზე ახდენს ცემისა და წამების ფაქტების იგნორირებას. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავ ორგანოებში იზრდება დაუსჯელობის სინდრომის ხარისხი.

კანონის უზენაესობა გულისხმობს, რომ არც ერთი ინდივიდი და თანამდებობის პირი კანონზე მაღლა არ უნდა იდგეს. დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლების საქმიანობა საკანონმდებლო ჩარჩოებშია მოქცეული. აღნიშნულს ვერ ვიტყვით საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაზე, როცა სისტემაში „წესრიგის“ დასამყარებლად ძალისმიერ მეთოდებს მიმართავენ.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა რამდენიმე დაწესებულებაშია. მაგ. ქუთაისის ახალ #2 საპრობილეში. ქუთაისიდან ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში გადაყვანილი ყველა არასრულწლოვანი მიუთითებდა თანამშრომლების მიერ მათ ცემაზე.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატური გამოუძიებლობა და მწამებლების დაუსჯელობა მიანიშნებს ფაქტზე, რომ აღნიშნული შემთხვევები ხელმძღვანელობის მიერ არის წაქეზებული და ნებადართული.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წამება გამოხატავს სისტემის სამოქმედო პოლიტიკასა და შეგნებას, რომ ეს ხერხი შეიძლება კონკრეტული პატიმრის დასჯას ემსახურობდეს.

თუკი დაწესებულებაში მომხდარი წამების ფაქტები კონკრეტული დაწესებულების თანამშრომლის ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგია, აღნიშნული მიანიშნებს სისტემის არასწორ მენეჯმენტსა და თანამშრომლებზე არასათანადო კონტროლზე.

2006 წლის მოხსენებაში იყო ფაქტები, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს პატიმრებთან არაადამიანური მოპყრობის გამო თანამდებობრივად აქვეითებდნენ, მაგრამ არ სჯიდნენ.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ ძალადობაზე ყურადღება ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა საქართველოს შესახებ თავის 2007 წლის ანგარიშში გაამახვილა. კერძოდ, მიუთითა რამდენიმე დაწესებულებაზე, რომელთაგან ფიზიკური ძალადობის შესახებ პატიმრებისგან არაერთი საჩივარი მიიღო. კომიტეტმა საქართველოს მთავრობას მისცა რეკომენდაცია, რომ „რუთავის #6 საპრობილის ხელმძღვანელობამ ნათლად გამოკვეთილი გზავნილი უნდა გაუგზავნონ თანამშრომლებს, რომ პატიმრებზე ნებისმიერი ფიზიკური ძალადობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა ან სხვა ღირსების შემლახავი და დამამცირებელი მოპყრობა მიუღებელია და ძალიან მკაცრად დაისჯება. მენეჯერებმა ამ მხრივ დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინონ, მათი წარმომადგენლების მუდმივად დაკავების ადგილას ყოფნითა და პატიმრებთან პირდაპირი კონტაქტით, პატიმრების საჩივრების გამოძიებითა და ციხის თანამშრომლების გაუმჯობესებული ტრენინგით“.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სისტემაში ძალადობის პრევენციისთვის ზემოაღნიშნული ღონისძიებები სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უნდა ხორციელდებოდეს.

პატიმართა ცემა-წამების დამადასტურებელი მაგალითები სახალხო დამცველის აპარატში მრავლადაა. ამ მოხსენებაში მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას. კერძოდ:

ამბოხი მე-5 საპრობილეში

27 მარტს მე-5 საპრობილეში მოხდა პატიმართა ამბოხება. სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორმაცია გვამცხედს, ვივარაუდოთ, რომ თავად ამბოხებას პროვოცირება გაუკეთა დეპარტამენტის ადმინისტრაციის მოქმედებამ და, მეორეც, ამბოხის ჩახშობის დროს გამოყენებული ძალა არ იყო იმ წინააღმდეგობის ადეკვატური, რაც პატიმრებმა გაუწიეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ სპეცრაზმელებს.

კერძოდ, როგორც არაერთმა პატიმარმა ჩვენთვის მოცემულ ახსნა-განმარტებებში განაცხადა, 27 მარტის ღამეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, ბაჩო ახალაია სპეცრაზმთან ერთად შესული იყო ციხეში, სადაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა რამდენიმე პატიმარს. სწორედ ამან გამოიწვია ამბოხი, რაც, მიუხედავად გარკვეული წინაპირობის არსებობისა, უკვე სპონტანურად მოხდა. ამას ადასტურებს არაერთი პატიმრის თითქმის იდენტური ჩვენება. უნდა ითქვას, რომ ამ პატიმრებს საშუალება არ ჰქონდათ, წინასწარ ერთმანეთთან შეეთანხმებინათ მათი ჩვენებები). ამასვე ადასტურებს სასტიკად ნაცემი და ნაწამები სამი პატიმრის - ვიბლიანის, ავალიანისა და ცინდელიანის ჩვენებები, რომლებიც ჯერ კიდევ ამბოხების დაწყებამდე გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებიდან მე-7 საპრობილეში და სამკურნალო დაწესებულებაში დარჩენილი არაერთი პატიმრის ჩვენება.

რაც შეეხება სპეცოპერაციას, ამბოხების ჩახშობისთანავე ვნახეთ საპრობილის დერეფანში დაგდებული ორი იარაღი. თბილისის მე-5 საპრობილის დირექტორის, გოგა ფოლადაშვილის, განცხადებით, ამ იარაღებიდან უშუალოდ მისი მიმართულებით გაისროლეს, შედეგად დაიჭრა მისი ორი თანამშრომელი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სროლა სპეცნაზმა. ფოლადაშვილისავე სიტყვით, თვითონ და მისი თანამშრომლები, სრულიად უიარაღოდ, სპეცნაზის წინ მიდიოდნენ, რათა პატიმრებს ისინი ეცნოთ და ნაკლები წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ეს ასე მოხდა, ამას ადგილი ექნებოდა მხოლოდ ერთ სართულზე, სროლა კი სხვადასხვა სართულებზე მოხდა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ გამოკითხული დაჭრილი პატიმრების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ ჭრილობები მიიღეს არა საპრობილის დერეფნებში, არამედ საკნებში. პატიმრებმა გამოანგრიეს საკნის კარები და გარეთ გამოვიდნენ. მას შემდეგ, რაც სპეცნაზმა დერეფანი დაიკავა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამბოხის ძირითადი ფაზა უკვე დამთავრდა. ის ფაქტი, რომ დაჭრილი და გარდაცვლილი პატიმრების უმრავლესობამ დაზიანებები მიიღო საკნებში, მეტყველებს, რომ სპეცნაზი ცეცხლსასროლ იარაღს მას შემდეგაც იყენებდა, როცა ამბოხება, ფაქტობრივად, დამთავრებული იყო და პატიმრები მათ წინააღმდეგობას აღარ უწევდნენ. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პატიმრების წინააღმდეგ გამოყენებული ძალა არ იყო წინააღმდეგობის ადეკვატური და მსხვერპლის თავიდან აცილება, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც იყო შესაძლებელი. იგივე შეიძლება ვივარაუდოთ იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე პატიმარი სარკმლიდან შევარდნილი ტყვიით დაიჭრა და გარდაიცვალა.

27 მარტს, ღამის საათებში, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან (ე.წ. რეზბალნიცა), ექვსი პატიმარი: **მალხაზ ზედელაშვილი, პაატა მამარდაშვილი, ზურაბ ვიზლიანი, გიორგი ავალიანი, ლევან ცინდელიანი და ნიკოლოზ მახარაძე** გადაიყვანეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.თბილისის #7 საპრობილემში.

მათ აღენიშნებოდათ სხეულის მრავალჯერადი დაზიანებები, რომლებიც, მათივე განმარტებით, მორალურ შეურაცხყოფასთან ერთად, მიაყენეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და სპეცრაზმელებმა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის ოთახში. ერთ-ერთ მათგანს (პაატა მამარდაშვილს), მისი თქმით, მაკრატლით ალაგ-ალაგ მოჭრეს თმები, რაც ცალსახად შეიძლება შეფასდეს, როგორც დამამცირებელი მოპყრობა. მონიტორინგის დროს მამარდაშვილს ნამდვილად აპარსული ჰქონდა თმის ნაწილი წინა მხარეს. გიორგი ავალიანს, მისივე თქმით, დაუსვეს დამამცირებელი შეკითხვები, რის შემდეგაც გადავიდნენ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე - ცემაზე, როგორც ოთახში, ასევე საავადმყოფოს ეზოში და ეტაპირების დროსაც.

როგორც გ.ავალიანის, ისე სხვა პატიმრების ჩვენებებიდანაც ირკვევა, რომ ავალიანის ცემაში უშუალოდ მონაწილეობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე - ბაჩო ახალაია.

პატიმრების ცემას მოჰყვა „ხმაური“ სამკურნალო დაწესებულებაში, რაც შემდეგ მე-5 საპრობილეს გადაედო და ამბოხში გადაიზარდა. ამის შემდეგ მოხდა ზემოთ ხსენებული 6 პატიმრის: მ.ზედელაშვილის, პ.მამარდაშვილის, ზ.ვიზლიანის, გ.ავალიანის, ლ.ცინდელიანისა და ნ.მახარაძის გადაყვანა თბილისის მე-7 საპრობილემში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.თბილისის #7 საპრობილემში გადაყვანილი ნაცემი პატიმრები იწვნენ ლეიბების გარეშე რკინის ნარებზე. მათთან არ შეუშვეს ექიმები და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები. პატიმრების გადმოცემით, მათ წაართვეს ტანსაცმელი, რომელიც დაუბრუნეს სახალხო დამცველის საპრობილემში მისვლის შემდეგ, თუმცა, მათივე მტკიცებით, სახალხო დამცველის მიერ საპრობილის ტერიტორიის დატოვების შემდეგ, ტანსაცმელი კვლავ წაართვეს და მხოლოდ მეორე დღეს, 28 მარტს დილას დაურიგეს.

სახალხო დამცველმა იმავე დღეს, 27 მარტის საღამოს ექვსი პატიმრის ცემის ფაქტი შეაფასა წამებად და არაადამიანურ მოპყრობად.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურატურას წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით, თუმცა დღემდე რეაგირება არ მომხდარა. პატიმრებს არ ჩაუტარდათ სხეულის დაზიანებებზე ექსპერტიზა და ისინი არ დაუკითხავთ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს. უფრო მეტიც, მათთან ყოველდღიურად შედიოდნენ მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნული პაციენტები ისე სასტიკად იყვნენ ნაცემი, რომ მათ ცემიდან მე-12 დღესაც კი, 7 აპრილს მკაფიოდ ეტყობოდათ დაზიანების კვალი. ამასთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ სახალხო დამცველის მიერ დანიშნულ ექსპერტები არ შეუშვა მე-7 საპყრობილეში და მათ არ მისცა ექსპერტიზის ჩატარების საშუალება.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.თბილისის #7 საპყრობილეში გადაყვანილი ექვსი პაციენტიდან ორი მათგანი, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ მათი იქ გაჩერება ყველანაირ ნორმას ეწინააღმდეგებოდა, გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში. ერთი მათგანი პარალიზებული იყო, ფიზიკური გადაადგილება არ შეეძლო, ხოლო მეორე - სმენისუუნარო და გარდა ამისა, ჰქონდა სხვა მძიმე დაავადებათა კომპლექსი.

ა.წ. 4 აპრილს ერთ-ერთი პაციენტი, ზურაბ ვ. სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს ქ.რუსთავის #6 საპყრობილეში. იგი დაავადებული იყო ეპილეფსიით, ჰქონდა ნეიროქირურგიული ხაზის დაავადებათა კომპლექსი და საჭირო იყო მისი მოთავსება სტაციონალურ პირობებში. საპყრობილეში მისი გაჩერება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს.

არეულობა ქუთაისის #2 საპყრობილეში

2005წ. 20 დეკემბერს ქუთაისის ახალ საპყრობილეში პაციენტთა გადაყვანას მოულოდნელი ამბოხი მოჰყვა. პაციენტებმა ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების მიზეზით ხანძარი გააჩინეს. ვითარების გასაკონტროლებლად საპყრობილეში სპეცოპერაცია ჩატარდა, რომლის დროსაც სამმა სამართალდამცველმა და ასზე მეტმა პაციენტმა სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღეს. ერთი პაციენტი, მალხაზ სერგინავა, კი მოგვიანებით დაიღუპა.

სახალხო დამცველი ამ ფაქტის გამოძიებას მოითხოვდა. „გამოძიების მთავარი მიზანია დაადგინოს, რამდენად ადეკვატური იყო ბუნტის ჩასახშობად გამოყენებული ძალა იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც ქუთაისის ციხეში ჰქონდა ადგილი და რამაც პაციენტის დაღუპვა გამოიწვია“.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სპეცდანიყოფის შესვლის შემდგომ პაციენტებს არაერთხელ მიეთითათ, შეეწყვიტათ კანონსაწინააღმდეგო ქმედება, ისინი მაინც არ დამორჩილდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნას და ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებს, რის შემდეგაც მათი უკანონო ქმედება ძალით აღკვეთეს.

გამოძიებამ ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დაადგინა, რომ სპეცდანიშნულების რაზმი ახორციელებდა კანონით მინიჭებულ უფლებას პაციენტთა ჯგუფის უკანონო ქმედების აღსაკვეთად და აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 28-ე მუხლის “ბ” პუნქტის თანახმად, სამართალდამცავთა მიერ ძალის

გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით მათ მიმართ უარი ეთქვა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე.

ჩხრეკა ბათუმის მე-3 საპყრობილეში

2006წ. 24 იანვარს ბათუმის #3 საპყრობილეში ჩატარდა ჩხრეკა-დათვალიერება. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის განცხადებით, მათ მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია, რომ დაწესებულებაში იყო იარაღი. ისინი იძულებულნი იყვნენ, ოპერაცია ძალიან სწრაფად ჩაეტარებინათ და პატიმრები გარეთ, თოვლში გაეყვანათ.

სახალხო დამცველის აპარატისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში პატიმრები აცხადებდნენ, რომ სპეცნაზელები მათ ურტყამდნენ დერეფანში, ისე რომ მათი მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. ამის შემდეგ პატიმრები 4 საათზე მეტი ხნის განმავლობაში იდგნენ საპყრობილის ეზოში, ზამთრის სიცივეში, თოვლ-ჰყაპში ღია ცის ქვეშ, ნახევრად ჩაუცმელები, ზოგიერთ მათგანს ფეხსაცმელიც არ ეცვა და ჩუსტებით გაიყვანეს, რადგან შემოწმება მოულოდნელად ჩატარდა.

პატიმრების განმარტებით, მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ, წაართვეს ნივთები, რომლებიც მინისტრის ბრძანების საფუძველზე შეეძლოთ ჰქონოდათ დაწესებულებაში. კერძოდ, ხის ხატები, ჯვრები, ტელევიზორები და ა.შ. ბევრმა მათგანმა მიიღო სხეულის დაზიანება.

აღსანიშნავია, რომ ჩხრეკის შედეგად იარაღი არ უპოვიათ. წინასწარი გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით არ დაწყებულა.

შიშველი პატიმრები #6 დაწესებულების კარცერში

განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ #6 საპყრობილეში მომხდარი შემთხვევა, როცა კარცერში დასჯის მიზნით შიშველი პატიმრები ჰყავდათ მოთავსებული. მდგომარეობა აშკარად შეესაბამებოდა წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

2006 წლის 13 და 15 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.რუსთავის #6 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც განახორციელეს კარცერების მონიტორინგი. მათ მოინახულეს მსჯავრდებულები: გენადი წურწუმიძე, იმედა ბუთხუზი და ბადრი ქეცბაია, რომლებიც საკანში იმყოფებოდნენ საცვლების ამარა. პატიმრების ტანსაცმელი დერეფანში, კარცერის მორიგის მაგიდის გვერდით, იატაკზე ეყარა.

გ.წურწუმიძის განმარტებით, იგი 16 დღე იყო კარცერში საცვლების ამარა, რადგან ტანსაცმელი დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს; მოთხოვნის მიუხედავად, მას არ მისცეს ჰიგიენური საშუალებები (პირსახოცი, საპონი, კბილის პასტა, კბილის ჯაგრისი), საწერი კალამი და ფურცლები. სახალხო

დამცველის აპარატის თანამშრომლებმა შეამოწმეს კარცერში მოთავსებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც გ.წურწუმიან რეგისტრირებული არ იყო. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს ბრძანება გ.წურწუმიანის დისციპლინური წესით დასჯის შესახებ.

იმედა ბუთხუზის განმარტებით, იგი 14 სექტემბრიდან იყო კარცერში. მას ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს ტანსაცმელი. მასაც არ მისცეს საწერი კალამი და ფურცლები.

ბადრი ქეცბაიას განმარტებით, იგი კარცერში იმყოფებოდა 11 სექტემბრიდან. კარცერში მიღებისას ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს ტანსაცმელი და დატოვეს საცვლების ამარა.

კარცერების მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ არცერთ მათგანში არ იყო ლეიბი, თეთრეული და საბანი, რის გამოც პატიმრებს პირდაპირ ხის ნარებზე ეძინათ. ზემოაღნიშნულმა პატიმრებმა მიუთითეს, რომ ღამე-ღამობით მათ ძალიან სციოდათ, რადგან უკვე სექტემბერი იყო და ტანსაცმლის გარეშე ციოდა.

28 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ქ.რუსთავის #6 საპრობილეში მოინახულეს პატიმრები: ვაჟა გეგენავა და რუდიკ ოვაკინიანი, რომლებიც ასევე 2006 წლის სექტემბრის თვეში იმყოფებოდნენ „კარცერში“.

ვ.გეგენავას განმარტებით, მას სრულად გახადეს ტანსაცმელი და მოათავსეს საკანში. საცვლები დაახლოებით 2 საათის შემდეგ დაუბრუნეს, ხოლო ტანსაცმელი 10 დღის - შემდეგ, როცა „კარცერში“ ყოფნის ვადა ამოეწურა.

რ.ოვაკინიანის განმარტებით, ის „კარცერში“ რამდენიმე საათი გააჩერეს, თუმცა ამ პერიოდის მანძილზე იგი იყო სრულიად შიშველი.

ორივე პატიმარი აცხადებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სციოდათ, მათ ტანსაცმელი საპრობილის თანამშრომლებმა არ დაუბრუნეს.

ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, პატიმრებმა თავად თქვეს უარი ტანისამოსის ჩაცმაზე, რასაც თავად პატიმრები კატეგორიულად უარყოფდნენ. 15 სექტემბერს ჩატარებული განმეორებითი მონიტორინგის დროს პატიმრებს უკვე ეცვათ ტანისამოსი. მათ განაცხადეს, რომ ადმინისტრაციამ ტანსაცმელი სახალხო დამცველის რწმუნებულების მისვლამდე 10 წუთით ადრე დაუბრუნა.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე 2006 წლის 26 ოქტომბერს სახალხო დამცველმა სათანადო მასალები გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში წინასწარი გამოძიების დასაწყებად. 27 ოქტომბერს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება რუსთავის #6 საპრობილის ცალკეული მუშაკების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. საკმარისი დროის გასვლის მიუხედავად, გამოძიება უშედეგოდ მიმდინარეობდა და არც ერთი პირი პასუხისგებაში არ მიუციათ.

საქართველოს სახალხო დამცველს ძალიან ხშირად მიმართავენ პატიმრების ახლობლები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრები განიცდიან ფიზიკურ ზეწოლას. **მოვიყვანო მაგალითი:**

მიხეილ სომხიშვილის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს მიმართეს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პატიმრის მიხეილ სომხიშვილის დედამ, ლეილა ჯაკობიამ და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის „ემპათიის“ პრეზიდენტმა, მარიამ ჯიშკარიანმა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთობლივი მონიტორინგის დროს განსასჯელს აღმოუჩინეს სხეულის დაზიანებები, რომლებიც, მისი გადმოცემით, მიყენებული ჰქონდა მრავალჯერადი დარტყმებით, ელექტროდენითა და რეზინის ხელკეტებით.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს მ.სომხიშვილი, რომელმაც ცემის ფაქტი ხელისმოწერით დაადასტურა რწმუნებულების მიერ შედგენილ ოქმზე.

სახალხო დამცველმა მიმართა გენერალური პროკურორის მოადგილეს, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსა და იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს შეესწავლათ ზემოაღნიშნული საკითხები.

იუსტიციის სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პატიმრის, მ.სომხიშვილის, ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში შეტყობინება არ შესულა.

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2006 წლის 20 ოქტომბერს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება #74068391 საქმეზე, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნებით, განსასჯელ მიხეილ სომხიშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებით.

2006 წლის 25 ოქტომბერს, მ.სომხიშვილის სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხის და ხანდაზმულობის განსაზღვრის მიზნით დაინიშნა და ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

პასუხში ასევე ნათქვამია, რომ საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

სასჯელაღსრულების სისტემაში დანაშაულების პრევენციის მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ და გენერალურმა პროკურატურამ უნდა უზრუნველყოს, რომ არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუძიებელი და არც ერთი დამნაშავე - დაუსჯელი.

დასკვნა

იუსტიციის სამინისტრომ სასჯელაღსრულების სისტემის დემოკრატიზაციისთვის მეტი ძალისხმევით უნდა იმუშავოს. აღნიშნული მოიცავს:

- პატიმართათვის ადამიანური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას;
- პატიმართა საგანმანათლებლო და პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას;
- პატიმართა რესოზიალიზაციისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას;
- დაკავების ადგილებში კულტურული და რეკრეატიული ღონისძიებების ჩატარებას;
- ცემისა და წამების ფაქტების ეფექტური გამოძიებისათვის ხელშეწყობასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების (ჰაუპტვახტის) მონიტორინგი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფმა 2006 წლის მეორე ნახევრიდან ინტენსიურად დაიწყო თავდაცვის სამინისტროს სისტემაში განთავსებული ჰაუპტვახტების მონიტორინგი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სულ 6 (ექვსი) ჰაუპტვახტი ფუნქციონირებს - თბილისი-მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტი (თბილისი), კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტი (ვაზიანი), სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური პოლიციის სამმართველოს ოფისის ტერიტორიაზე განლაგებული ჰაუპტვახტი (სენაკი), აჭარის რეგიონულ სამმართველოს ჰაუპტვახტი (ბათუმი), სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტი (ახალციხე) და სამხედრო პოლიციის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტი (გორი).

2006 წლის განმავლობაში ჰაუპტვახტებში განხორციელდა 6 ვიზიტი, ხოლო 2007 წლის იანვრიდან **ნოემბრის** ჩათვლით განხორციელდა **26** ვიზიტი. მონიტორინგის მიზანი იყო ჰაუპტვახტებში არსებული მდგომარეობის დადგენა დაკავებულთა უფლებების დაცვისა და დაკავების ადგილებში არსებული მდგომარეობის პატიმრებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ჰაუპტვახტების შემოწმების შედეგად გამოვლინდა ერთგვაროვანი პრობლემები, კერძოდ: თითქმის ყველგან - სარემონტო საკნები, ჩამსხვრეული ფანჯრები და ნესტი. არ ფუნქციონირებდა გათბობისა და ვენტილაციის სისტემა; საკნებში არ იყო საპირფარეშო და საშხაპეები, რომლებიც ზოგან განლაგებული იყო ჰაუპტვახტების ეზოში ან შენობის დერეფანში; მაგალითად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის რეგიონულ სამმართველოს ჰაუპტვახტში არ იყო საპირფარეშო, რის გამოც დაკავებულები გაჰყავთ სამხედრო პოლიციის შენობაში, ხოლო საშხაპეების უქონლობის გამო, შხაპის მისაღებად დაკავებულები მიჰყავთ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ადლიის ნაწილში. ჰაუპტვახტებში მოთავსებულ პატიმრებს დასაწოლად საღამოს საათებში ეძლეოდათ ფიცარნაგები, რაც, უმეტეს შემთხვევაში, დღის

განმავლობაში გაჰქონდათ საკნებიდან ან დღის განმავლობაში აკეცილ მდგომარეობაში ინახებოდა. საკნების განათება ხდებოდა დერეფანში საკნის კარის ზემოთ დამონაწებული ნათურით, რაც არასაკმარისი იყო ნორმალური განათებისთვის.

6-დან 4 ჰაუპტვახტში იმდენად ცუდი პირობები იყო, რომ იქ ადამიანის ყოფნა წამებასთან, არაადამიანური და ღირსების შემლახველ მოპყრობასთან იყო გათანაბრებული.

2 ჰაუპტვახტში - სენაკსა და ვაზიანში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა და ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

2006-2007 წლებში განხორციელებული ვიზიტების შედეგად ჰაუპტვახტებში გამოვლენილ დარღვევებზე საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს თავდაცვის მინისტრს მიმართა რეკომენდაციებით ჰაუპტვახტებში შექმნილი ღირსების შემლახველი და არაადამიანური პირობების გამოსასწორებლად. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიდან მიღებული წერილების თანახმად სახალხო დამცველის რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა ჰაუპტვახტების ფუნქციონირების პროცესში.

მონიტორინგის შედეგების გამოქვეყნების შემდგომ თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ გაითვალისწინებდა სახალხო დამცველის რეკომენდაციებს, თუმცა 2007 წლის იანვარიდან სახალხო დამცველის თანამშრომლებს აღარ მიეცათ ჰაუპტვახტების განმეორებითი მონიტორინგის საშუალება, რითაც უხეშად დაირღვა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები. სახალხო დამცველმა წერილი გაუგზავნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს, რათა აღდგენილიყო ჰაუპტვახტების შემოწმების კანონიერი უფლება. ამის შემდეგ მონიტორინგის ჯგუფს კვლავ მიეცა შესაძლებლობა, შეემოწმებინა ზემოაღნიშნულ სისტემაში არსებული მდგომარეობა. თუმცა ჰაუპტვახტების დაუბრკოლებელი მონიტორინგი **ხშირად** მაინც პრობლემას წარმოადგენს.

ბავშვთა უფლებების მონიტორინგი

2006 წლის 1 სექტემბერს სახალხო დამცველთან შეიქმნა ბავშვის უფლებათა ცენტრი, რომელმაც შეითავსა ყველა ის ფუნქცია, რასაც სახალხო დამცველის აპარატი 2005 წლიდან ახორციელებდა ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში. კერძოდ, საჩივრების განხილვა და ბავშვთა ინსტიტუციების მონიტორინგი.

სახალხო დამცველის მიერ გაწეული მუშაობის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემების ფონზე ერთ-ერთ უმწვავეს თემად რჩება ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, ბავშვთა სახელმწიფო ინსტიტუციებში სოციალურად დაუცველი ბავშვების კეთილდღეობის უზრუნველყოფის პრობლემა.

სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული საქმიანობა ხასიათდება ქმედებათა არაკოორდინირებულობით, რესურსების არაოპტიმალური გამოყენებით, აქტივობათა მოკლევადიანობითა და ფრაგმენტულობით.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე ადგილი აქვს გარკვეულ წინსვლას („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი), დღემდე არ არის შემუშავებული პრობლემისადმი სისტემური მიდგომა და არ ხდება მისი კომპლექსურად გადაჭრა. ამის გამო, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის პარალელურად, დღეს არსებულ ბავშვთა სახლებში კვლავ აქტუალურია გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობებისა და მიუღებელი აღმზრდელობითი პრაქტიკის საკითხი.

სახალხო დამცველის აპარატი რეგულარულ მონიტორინგს ატარებს ბავშვთა სახლებში. 2005 წლიდან 2007 წლის ჩათვლით სულ 56 ვიზიტი განხორციელდა. მონიტორინგის მთავარი მიზანია, გამოავლინოს ბავშვებზე ძალადობისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები, რათა დროულად და ბავშვებისთვის რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მოხდეს მათზე რეაგირება.

2004 წლის სექტემბრამდე თბილისში ფუნქციონირებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურა - „არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკისა და შემდგომი ორიენტაციის ცენტრი“, სადაც რამდენიმე წლის წინ ძალადობის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ ამ სახლმა შეწყვიტა ფუნქციონირება, ხოლო მის ბაზაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და ქალაქის მერიის ერთობლივი ძალისხმევით ჩამოყალიბდა „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი“.

არსებული პრობლემები

ამ დროისათვის ბავშვთა სახლებში კვლავ რთული მდგომარეობაა. მონიტორინგისას თითქმის ერთგვაროვანი პრობლემები გამოიკვეთა. ინსტიტუციები, რომლებშიც ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან მოთავსებულნი ერთნაირ რეჟიმში მუშაობენ: ჯანმრთელობასთან, არასრულწლოვან კვებასთან, არასათანადო განათლებასთან და ცუდ საცხოვრებელ პირობებთან (ყაზარმული ტიპის სარემონტო შენობები; 15-20 საწოლიანი საძინებელი ოთახები პირადი ნივთების შესანახი კარადების გარეშე; ტუალეტები და საშხაპეები, რომლებიც არ პასუხობს ჰიგიენურ მოთხოვნებს; თეთრეული, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში არ უცვლიან; ჰიგიენური საშუალებების არარსებობა, უსიამოვნო სუნის) დაკავშირებული პრობლემები მოუგვარებელია. აღინიშნება ბავშვთა სოციალური ჩამორჩენა. ისინი

ვერ იღებენ პროფესიულ განათლებას. პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

* * *

ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაა რაიონებში, სადაც სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე გაცილებით დაბალია. ახალგორის ბავშვთა სახლში ერთ-ერთ აღმზრდელს გულწრფელად არ ესმოდა, რატომ არ შეიძლება ბავშვის ცემა, ხოლო როცა პოლიციის ორი ინსპექტორი მათ აღსაზრდელებს ფიზიკურად გაუსწორდა - ქურდობის ბრალდებით მიიყვანა პოლიციის განყოფილებაში და აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით პოლიეთილენის ბოთლით სცემა - იმის ნაცვლად, რომ ბავშვთა სახლის დირექციას პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხი დაეყენებინა, მათ ბავშვები გაამტყუნეს და სახალხო დამცველის წარმომადგენლებს განუცხადეს, აქ ზოგიერთი აღსაზრდელი ცემის კი არა, ტყვიის ღირსიაო(!).

* * *

2007 წლის 17 და 18 იანვარს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თბილისის ბავშვთა სანატორიუმ „გაზაფხულში“ გეგმიური მონიტორინგის ჩასატარებლად. ორდღიანი მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: სანატორიუმის შენობა საჭიროებს კაპიტალურ რემონტს; უმძიმესია ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობები; სავალალო მდგომარეობაშია შენობის ყველა სველი წერტილი; დამტვრეულია და არ მუშაობს უნიტაზები და პირსაბანები; არ არის ცხელი წყალი, გათბობა, ავეჯი ძველია და დამტვრეული; საძინებელი ოთახები ცუდადაა მოწყობილი - საწოლები ძველია, ლოგინები და თეთრეული ცუდი ხარისხის; ბავშვებს არა აქვთ სათამაშოები, წიგნები.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, შეესწავლა სანატორიუმ „გაზაფხულში“ არსებული მდგომარეობა და მიეღო შესაბამისი ზომები.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად ვითარება დღემდე არ შეცვლილა.

* * *

ინსტიტუციებში, სადაც სოციალურად დაუცველი უნარშეზღუდული ბავშვები არიან მოთავსებული, კიდევ უფრო რთული ვითარებაა. ზოგიერთი საკითხის გადაუჭრელობა სისასტიკემდეც კი მიდის. მაგალითად, თბილისის უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატს არ ჰქონდა გათბობა. კიბის მოაჯირები, რომელსაც ბავშვები ეყრდნობიან რკინისა და ზამთარში იყინება. მხედველობადაქვეითებულ ბავშვებს კი ხელებზე მგრძნობელობა ნორმალური მხედველობის მქონე ადამიანზე გაცილებით მაღალი აქვთ, ამიტომ მათთვის ზამთარში ინტერნატის პირობებში ცხოვრება წამების ტოლფასია.

* * *

არასრულწლოვანისადმი დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი დაფიქსირდა თბილისის 197-ე საჯარო სკოლაში. სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ა.მ-ემ. იგი მიუთითებდა რომ სკოლის დირექტორი, ნინო ყიფიანი და სკოლის მოძღვარი, იოსებ გოგოლაძე, მის შვილს, 12 წლის დ.ბ-ს, გრძელი თმის შეჭრას აიძულებდნენ.

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის შინაგანაწესი ეფუძნება მოსწავლეთა აღზრდის წესს ქრისტიანული ღირებულებების შესაბამისად, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსწავლე თავისი ქცევით, სიტყვა-პასუხითა და გარეგნული იერ-სახით არ უნდა ლახავდეს გიმნაზიის ავტორიტეტს. გარდა ამისა, 2006 წლის 28 ნოემბერს სანიტარული შემოწმების შედეგად გამოვლინდა სხვა მოსწავლეთა შორის დ.ბ-ის დატილიანების ფაქტი. თუმცა აღსანიშნავია, რომ იმავე პრობლემის მქონე გრძელთმიანი გოგონებისთვის თმის შეჭრა არავის მოუთხოვია. დ.ბ.-ზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, მას არ უშვებდნენ გაკვეთილებზე, ამყოფებდნენ ბიბლიოთეკაში ან სამასწავლებლოში.

სახალხო დამცველის მიერ აღნიშნული შემთხვევა შეფასდა, როგორც არასრულწლოვანისადმი დამამცირებელი და შეურაცხყოფელი მოპყრობა, რაც, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, ხოლო მეორე მხრივ, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის უხეში დარღვევაა. გარდა ამისა, სკოლას, რომელსაც აქვს საჯარო სკოლის სტატუსი, არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი წესები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა პირადი თავისუფლებების შეზღუდვისაკენ და დისკრიმინაციულია ცალკეული ბავშვების მიმართ.

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრისათვის მასმედიის საშუალებით ცნობილი გახდა ახალციხის #მე-3 საჯარო სკოლაში მომხდარი ინციდენტის შესახებ, როდესაც მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მემვიდე კლასის მოსწავლეს ე.ე-ს. **კერძოდ, თავში რამდენჯერმე ჩაარტყა, რის შედეგადაც ბავშვის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაღდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ ესწრებოდა სასწავლო პროცესს. მშობლების განმარტებით დაუზიანდა მხედველობა.** ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ისტორიის მასწავლებელმა მართლაც სცემა ე.ე. მასწავლებლის მიერ მოსწავლის ცემის ფაქტი განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცა სკოლის სამეურვეო საბჭოს, რომლის დადგენილებითაც დამნაშავე მასწავლებელს აეკრძალა ე.ე-ს კლასში გაკვეთილების ჩატარება, გამოეცხადა სასტიკი საყვედური და დაუკავდა 1 თვის ხელფასი, თუმცა ე.ე-ს მშობლები ამასთან მასწავლებლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვენ. აღნიშნული საქმეზე რეაგირების მოხდენის მიზნით მივმართეთ განალებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც გვაცნობა, რომ საკითხის შესწავლა დაიწყო, **რომელმაც ძალაში დატოვა სკოლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება.**

სახალხო დამცველმა შეისწავლა მარტყოფის ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელობო დაწესებულებაში მომხდარი ფაქტი. კერძოდ:

2007 წლის 17 ოქტომბერს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მარტყოფის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელობო დაწესებულების დირექტორმა, თეკლე ფერაძემ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს რუსთავის პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ბავშვთა სახლის აღსაზრდელების უფლებების დარღვევის ფაქტზე.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე, 2007 წლის 18 და 19 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს ბავშვთა სახლის აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს.

2007 წლის 16 ოქტომბერს მარტყოფის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელობო დაწესებულებაში ავტომანქანა „ოპელით“ გამოცხადდა ორი ახალგაზრდა გოგონა და მამაკაცი. მათ იკითხეს ა.კ. მისი ვინაობის დადგენის შემდეგ კი იძულებით ჩააგდეს იქვე გაჩერებული მანქანის საბარგულში. იმავდროულად, ხსენებული გოგონები (რომელთაგან ერთი იყო მაღალი ხუჭუჭი თმით, ხოლო მეორე დაბალი, უკან შეკრული თმით) ავიდნენ ბავშვთა სახლის მე-2 სართულზე და მოიკითხეს ხ.კ.. ხ.კ.-თან შეხვედრის შემდეგ, მას გაეცნენ სოციალურ მუშაკებად, იძულებით გაიყვანეს შენობიდან, ჩასვეს იმავე ავტომანქანაში და გაემართნენ სოფლის სკოლისკენ. ამ დროისთვის აღსაზრდელები თ.ხ., გ.კ., თ.უ. და თ.მ. ბრუნდებოდნენ სკოლიდან ბავშვთა სახლში. სოფელში მდებარე მონასტერთან მათ დაეწია ზემოაღნიშნული ოპელის მარკის ავტომანქანა, საიდან გადმოსულმა პირებმაც, ასევე იძულებით, თეონა ხოსიაშვილი, გოჩა კოდერაშვილთან ერთად ჩასვეს მანქანაში და გზა განაგრძეს მარტყოფის გასასვლელისკენ. დაკავებული ბავშვები ოთხ ავტომანქანაში გადაანაწილეს. ამის შემდეგ, იმავე ავტომანქანა „ოპელით“ უცნობები დაბრუნდნენ მზრუნველობას მოკლებულთა დაწესებულებაში, ინტერნატის სასადილოდან მისი ნების საწინააღმდეგოდ გამოიყვანეს თ. უ. და დატოვეს იქაურობა.

სოფლის გასასვლელთან, ავტომანქანებში გადანაწილებულ არასრულწლოვანთა შორის, საბარგულში მოთავსებული ა.კ. გადასვეს ტოიოტა ჰაილუქსში და გზა გააგრძელეს რუსთავის მიმართულებით, ხოლო თ.უ., თ.ხ.-თან ერთად წაიყვანეს თბილისის მიმართულებით. გზაში თ.ხ.-ს მოსთხოვეს, დაერეკა ბავშვთა სახლის ყოფილ აღსაზრდელთან ლ.ნ.-თან და ეთხოვა შეხვედრა მეტროსადგურ დიდუბესთან. აღნიშნულ ტერიტორიაზე გამოცხადებულ ნაზარაევს, პოლიციელებმა აღუკვეთეს თავისუფლება და ამჯერად მას მოსთხოვეს, შეხვედრა დაეთქვა რ. ხ.-სთან. ეს უკანასკნელი გამოცხადდა რა, დათქმულ ადგილზე, სამართალდამცავებმა ისიც შეიპყრეს და გადაიყვანეს რუსთავის შს სამმართველოს შენობაში. მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელობო დაწესებულების აღსაზრდელები გ.კ., ხ.კ. და ა.კ. მათზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის შემდეგ, რაც გამოიხატა მათ დაშინებაში, მუქარასა და ცემაში, შუალამისას დაკითხეს და დააბრუნეს მარტყოფის ბავშვთა სახლში. ასევე

გვიან ღამით, ინტერნატში დააბრუნეს თ.ხ. და თ.უ., რომლებიც მოწმის სახითაც კი არ დაუკითხავთ.

17 ოქტომბერს, 02:50 საათზე, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა გამომძიებელმა, გ.უსტარაშვილმა, საქართველოს სსსკ-ის მოთხოვნათა უბეში დარღვევით, ეჭვმიტანილებად დააკავა ლ.ნ., ხოლო 03:20 საათზე რუსლან ხაჯიმურატოვი, რომლებიც დაკითხეს და მოათავსეს გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორში. 2007 წლის 18 ოქტომბერს, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ზ.მატკავამ გამოიტანა დადგენილება ეჭვმიტანილების დაკავების ადგილიდან გათავისუფლების შესახებ, სადაც აღნიშნულია, „გამომძიებით არ დადასტურდა ეჭვი, რომ ლ.ნ.-მა და რ.ხ.-მა ჩაიდინეს მკვლელობა და საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მათ ჩაიდინეს აღნიშნული დანაშაული.“ 18 ოქტომბერს, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, ეჭვმიტანილები გათავისუფლდნენ დროებითი მოთავსების იზოლატორიდან.

მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების იძულებითა და დამამცირებელი მოპყრობით დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის თვითმხილველები გახდნენ ამავე დაწესებულების აღმზრდელები, რომლებსაც, მანქანიდან გადმოსულმა უცნობმა ორმა გოგონამ და ერთმა მამაკაცმა, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და ბავშვების წაყვანის მიზეზად დაასახელეს წინა დღეს, სოფელ მარტყოფში ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობის შემთხვევა. ამასთან აღმზრდელები გააფრთხილეს, რომ წინააღმდეგობის გაწევისა და გახმაურების შემთხვევაში, ისინიც მოხვდებოდნენ „იქ, სადაც მათი აღსაზრდელები“

აღსაზრდელების თ.უ.-ის, თ.ხ.-ის, ა.კ.-ის, ხ. და გ. კ.-ის მარტყოფიდან იძულებით წაყვანის ფაქტს ადასტურებენ თ.მ., ა.ც. და თ.უ.. ასევე აღმზრდელები: ნინო გუგუნაშვილი, შორენა ბოჭორიშვილი, ნინო ადიკაშვილი, გულჩინა გორდაშვილი და დაწესებულების მზარეული ნინო ცოფურაშვილი. რაც შეეხება ლ.ნ.-ისა და რ.ხ.-ის დაკავებას თბილისში, ის დასტურდება თავად დაკავებულების, ასევე თ.უ.-ის და თ.ხ.-ის მიერ მოცემული ახსნა-განმარტებებით.

ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება, რომ მარტყოფის ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის ყოფილი და ამჟამინდელი აღსაზრდელები, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის უბეში დარღვევით, კანონიერი საფუძვლისა და წესის გარეშე, მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენებით იყვნენ თავისუფლება შეზღუდულები. ამის გარდა, სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული მასალები ცხადყოფდა, რომ მითითებული პირები რუსთავის პოლიციის განყოფილებაში დაექვემდებარენ ცემასა და ღირსებისშემლახავ მოპყრობას.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებული ქმედებები ლ.ნ.-ისა და რ.ხ.-ის მიმართ შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **147-ე, და 144³-ე** მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოლიციის თანამშრომლებს გააჩნდათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ა.კ.-ის, ხ.კ.-ის, გ.კ.-ის, თ.ხ.-ისა და თ.უ.-ისაგან შესაძლებელი იყო მიეღოთ სოფელ მარტყოფში მომხდარი დანაშაულის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები, სამართალდამცავები ვალდებულნი იყვნენ ეხელმძღვანელათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვანი მოწმის შესაბამის უწყებაში გამოძახებასა და მათ უფლება-მოვალეობებს. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 646-ე მუხლის შესაბამისად: „გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში არასრულწლოვანის გამოძახება ხდება მისი მშობლების, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების, ანდა იმ დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით, სადაც იზრდება ან სწავლობს არასრულწლოვანი.“

იმის ნაცვლად, რომ ქვემო ქართლის შსს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს მიემართათ ბავშვთა სახლის ადმინისტრაციისათვის აღსაზრდელების მოსალოდნელი დაკითხვის თაობაზე, შეურაცხყოფა მიაყენეს აღმზრდელებს და თვითნებურად, კანონმდებლობის უგულველყოფით, წაიყვანეს აღსაზრდელები პოლიციის განყოფილებაში, სადაც ა.კ.-ის დაკითხვას დაასწრეს ქ.რუსთავის #2 საჯარო სკოლის პედაგოგი მ.ხიდაშელი. მოგვიანებით კი, ამ უკანასკნელის თანდასწრებით ა.კ.-სათვის ჩამორთმეული ჩვენება გაანადგურეს, რაც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

სამართალდამცავთა ქმედებით დაირღვა სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისად: „არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა ტარდება არასრულწლოვანი მოწმის პედაგოგის, ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით...“

უკანონო თავისუფლების აღკვეთის გარდა, ა.კ. და ხ.კ. რუსთავის მთავარი სამმართველოს განყოფილებაში მიყვანიდან რამდენიმე საათის განმავლობაში დაექვემდებარენ წამებას, ღირსებისშემლახავ და დამამცირებელ მოპყრობას, რაც გამოიხატა მათ ცემაში, გინებასა და დაშინებაში, რათა მათგან მიღებული ყოფილიყო ბ.შ.-ის მკვლელობის ფაქტის აღიარება, ან რაიმე სახის ინფორმაცია ხსენებულ დანაშაულთან დაკავშირებით, რაც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე, 144' და 144³-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს. რაც შეეხება ა.კ.-სა და ლ.ნ.-ს, რომლებიც გახდნენ არაადამიანურ და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი, მათ ჩაუტარდათ ფსიქიატრიული გამოკვლევა ცენტრ „ემპათიას“ პრეზიდენტის მარიამ ჯიშკარიანის მიერ.

* * *

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა ბავშვზე ოჯახური ძალადობის არაერთი საქმე. ნათელი გახდა, რომ საქართველოში ამ პრობლემის მიმართ არ არსებობს სისტემური მიდგომა. თითოეულ ფაქტზე, სასურველი შედეგის მისაღწევად, სახალხო დამცველს მოუხდა შესაბამისი სტრუქტურებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა, თუ რა ღონისძიებებია მათი მხრიდან გასატარებელი. ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოში ბავშვზე ზრუნვის სისტემა სახელმწიფოებრივ მიდგომას მეტად მოითხოვს. კერძოდ:

1) 2006 წლის 12 ივლისს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ წარმომადგენელმა გ.ქოქრაშვილმა, რომლის განმარტებით, არასრულწლოვანი ვ.ტ-ს მიმართ მისი მშობლების მხრიდან ადგილი აქვს წამების ფაქტებს.

ბავშვს სხეულზე აღენიშნებოდა მრავალი დაზიანება, ჰქონდა ჭრილობები თავის არეშიც. როგორც მისი მეგობრებისგან შევიტყვეთ, აღნიშნულ დაზიანებებს მას მშობლები და ქურჩის დაჯგუფების წევრები აყენებენ. ვ.ტ. მაწანწალა ბავშვია, რომლის ინსტიტუციაში მოთავსებაც გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რათა უზრუნველყოფილიყო მისი უსაფრთხოება.

ვ.ტ-ს საქმესთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრმა“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჯერ კიდევ 27 თებერვალს მიმართა განცხადებით და სთხოვა, მოეხდინა რეაგირება. თუმცა სამინისტროს მხრიდან განცხადებას 4 თვის განმავლობაში არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ამ ხნის განმავლობაში კი არასრულწლოვანი კიდევ რამდენჯერმე გახდა წამების მსხვერპლი.

21 ივლისს ვ.ტ. პოლიციამ სოციალური ადაპტაციის ცენტრში მიიყვანა. აუცილებელი იყო მისი სამტრედიაში გადაყვანა, რადგან იყო საშიშროება, რომ არასრულწლოვანი ცენტრიდან კვლავ გაიპარებოდა. ვინაიდან ვერ მოიძებნა სხვა პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც ამას უზრუნველყოფდა, ბავშვის სამტრედიაში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა წაიყვანეს.

2) ბავშვთა სახლისა და პანსიონების მონიტორინგის დროს სოციალური ადაპტაციის ცენტრში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ინახულეს 16 წლის მ.ზ. არასრულწლოვანის დედის - დ.ზ-ს თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების შემდეგ ბავშვი დროებით მზრუნველის გარეშე დარჩა, რაც მისი ცენტრში მოთავსების საფუძველი გახდა. იგი დედის საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგაც უარს აცხადებდა სახლში დაბრუნებაზე, აღნიშნულს კი იმით ხსნიდა, რომ ეშინოდა დედის, რადგან იგი სცემს და სასტიკად ეპყრობა მას. საქმის უკეთ შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები გაესაუბრნენ მ.ზ-ს მეზობლებს, რომლებმაც დაადასტურეს ბავშვის ნათქვამი.

მიუხედავად ამისა, ცენტრში ერთი თვის ცხოვრების შემდეგ, მ.ზ-მ თვითონ მიიღო გადაწყვეტილება, დაბრუნებულიყო სახლში. აღნიშნული კი შესაძლო საფრთხის ქვეშ

აყენებდა მის განვითარებასა და ჯანმრთელობას. ვინაიდან შექმნილი მდგომარეობა სოციალურ მუშაკთა ჩართვას საჭიროებდა, საქმე გადაგზავნილ იქნა განათლების სამინისტროში, შემდგომი რეაგირებისთვის.

განათლების სამინისტროს მხრიდან საქმის შესწავლას ხანგრძლივი დრო დასჭირდა, თუმცა საბოლოოდ მ.ზ. მოთავსებულ იქნა მარტყოფის ბავშვთა სახლში, სადაც, როგორც განათლების სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით შევიტყვეთ, გაცილებით უკეთ გრძნობს თავს და რეაბილიტაციის პროცესიც წარმატებით მიმდინარეობს.

დედის - დ.ზ. ქმედუნარიანობის ან/და მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხი შესაბამისი ორგანოების მხრიდან არ დაყენებულა, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ბავშვის კეთილდღეობის საკითხი ისევ დ.ზ.-ს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

3) სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრს განცხადებით მომართა ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელის მცხოვრებმა, 15 წლის ნ.ლ.-მ. არასრულწლოვანის მიერ მოცემულ ახსნა-განმარტებაში დასახელებულია რამდენიმე შემთხვევა, რომელიც მიუთითებს ბავშვის მამის, რ.ლ.-ის მხრიდან ნ.ლ.-ზე განხორციელებული სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტებზე, კერძოდ: 2007 წლის 29 აპრილს, როგორც ნ.ლ. იხსენებს, მამამ ეზოში გასვლის გამო, დაუწყო ყვირილი და შემდეგ სასტიკად სცემა - ორჯერ მუშტი ჩაარტყა თავში და რკინის ღუმელის საჩხრეკი კი - ზურგში. ზოგადად, ოჯახში დამაბული მდგომარეობა იყო, ხშირად ხდებოდა მამის მხრიდან კონფლიქტის პროვოცირება. ნ.ლ.-ს ჰყავს 17 წლის ძმა გ. და 10 წლის და. 15 წლის ნ.ლ. ახსნა-განმარტებაში საუბრობს, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ (ზუსტად თარიღს ვერ იხსენებს), შუალამე ბავშვების საძინებელ ოთახში, როდესაც ნელის ეძინა უეცრად გამოეღვიძა, რადგან იგრძნო ინტიმურ ადგილებში შეხება და დაინახა, რომ მას მამამისი ეხებოდა. ბავშვმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა და დაიწყო ყვირილი, რათა გაეღვიძებინა და-ძმა. რ. ლ.-მა 10 წლის მ.-ის გაღვიძების შემდეგ დატოვა ოთახი. თუმცა მან იმავე ღამეს ხელმოკრედ სცადა იგივე გაეკეთებინა, რაზეც უკვე უფროს ძმას გამოეღვიძა.

სახალხო დამცველის ბავშვის **უფლებათა ცენტრმა**, ნ.ლ.-სათვის ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას“, სადაც ბავშვს ნევროპათოლოგის გასინჯვის შედეგად, გამოუვლინდა ტვინის მსუბუქი შერყევის ნიშნები.

სახალხო დამცველმა აღნიშნული საქმე შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით გადასცა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ამჟამად ბავშვები ცხოვრობენ ბებიასთან. სოციალურმა სამსახურმა დაიწყო მუშაობა ბავშვების შვილობილობაში განთავსების მიზნით. ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე სსსკ 126-ე მუხლის „დ“ პუნქტით.

გამოძიების პროცესში არაერთხელ გამოვრდა ბავშვზე ძალადობის ფაქტები. 6 თვის შემდეგ სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის ჩარევით დააპატიმრეს ბავშვების მამა.

2006 წლის 29 მაისს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა მიიღო „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის, ქეთევან კობალაძის წერილი, რომელშიც ის მიმართავდა თხოვნით, შეესწავლა 8 წლის ხ. თ.-ს საქმე. ამა წლის 25 მაისს ბავშვი საკუთარი მამინაცვლის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომელმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებთან ერთად ადგილზე შეისწავლეს მდგომარეობა და შეადგინეს ოქმი.

ამჟამად, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო ბავშვის მამინაცვალი დაკავებულია.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის რესურს ცენტრს რეკომენდაციით, ხელი შეუწყონ ხ. თ.-სთვის დაბადების მოწმობის დროულად გაცემას და მისთვის სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფას.

სამწუხაროდ, ბავშვი დედასთან ერთად გაუჩინარდა და მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. ამასთან, ბავშვისთვის დახმარება არავის არ აღმოუჩენია.

დასკვნა

ბავშვთა უფლებების დარღვევის რეალურად და ეფექტურად აღმოფხვრისა და პრევენციისთვის საჭიროა საკითხზე პოლიტიკურ დონეზე ყურადღების გამახვილება. ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევისთვის უნდა არსებობდეს კოორდინირებული თანამშრომლობა როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. მხოლოდ დამნაშავეების დასჯა გამოსავალი არ არის, აუცილებელია ადამიანური და ფინანსური რესურსის დიდი ნაწილის მომართვა პრობლემის გადასაჭრელად და ისეთი ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნა, რომელიც რეალურად ხელს შეუწყობს ბავშვებზე ძალადობის ხარისხის შემცირებას.

ფსიქიატრიული საავადმყოფო Si arsebu l i mdgomareoba

2005 წლის მეორე ნახევარში სახალხო დამცველმა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მონიტორინგი დაიწყო. მონიტორინგის განხორციელების საჭიროება უკავშირდებოდა იმ გაუსაძლის საყოფაცხოვრებო პირობებს,

პაციენტებისადმი არაჰუმანურ დამოკიდებულებას, გამჭვირვალობის ნაკლებობას და საზოგადოების მხრიდან ყურადღების დეფიციტს, რომელიც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებობდა.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო სახალხო დამცველის ინიციატივით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის საუძველზე 2005 წელს შეიქმნა.

საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს შექმნა იმ დროისთვის მეტად დროული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რადგან ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა მოითხოვდა საფუძვლიან შესწავლას და დაუყოვნებელ რეაგირებას. საბჭოს შემადგენლობაში ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ, როგორიცაა გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი და წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი.

დღემდე მონიტორინგის საბჭომ საქართველოს ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განახორციელა მონიტორინგი, დეტალურად შეისწავლა და აღწერა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობა და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

2005 წელს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული სურათი ყველა დაწესებულებაში მეტნაკლებად მსგავსი იყო. შენობები საჭიროებდა შეკეთებას. სააბაზანოები და ტუალეტები ერთნაირად შეურაცხყოფელი იყო როგორც პაციენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. პაციენტები რეგულარულად მოკლებულნი იყვნენ შხაპის მიღების შესაძლებლობასა და ელემენტარულ ჰიგიენურ საშუალებებს. გადატვირთული განყოფილებები, უხარისხო და არასაკმარისი საკვები, თეთრეული, რომელიც იშვიათად იცვლებოდა, სამრეცხაოების არარსებობა, გათბობის პრობლემა, წყლით უზრუნველყოფის არასტაბილურობა, პაციენტების უსაფრთხოების დაცვისთვის ელემენტარული პირობების არარსებობა და მომვლელების არასაკმარისი რაოდენობა და კვალიფიკაცია ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებს არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში ამყოფებდა.

ამავე წელს ჩატარებული შემოწმების შედეგად დაფიქსირდა სტაციონირებული პაციენტების უფლებების დარღვევა. საავადმყოფოებში პაციენტები წლობით იმყოფებოდნენ, მათ შორის ისეთი პაციენტებიც, რომელთაც მკურნალობა აღარ ესაჭიროებოდათ. მკურნალობის ერთადერთი საშუალება მედიკამენტური იყო. პაციენტების მოთავსებისთვის ნათესავები იხდიდნენ თანხას, გამოიკვეთა შემთხვევები, როცა თანხის გადახდის გამო მოთავსებულნი იყვნენ ხანდაზმული პაციენტები, რომლებიც ნათესავებმა თითქოს მკურნალობის მიზეზით სახლიდან მოიშორეს. პერსონალი თვლიდა, რომ სანამ პაციენტს ვინმე არ მოაკითხავდა, არ უნდა გაწერილიყო საავადმყოფოდან. პაციენტების ხანგრძლივი იზოლაცია იწვევდა მათი სოციალური და შრომითი უნარ-ჩვევების დაკარგვას.

პაციენტებს არავინ აწვდიდა ინფორმაციას მათი დაავადების/დიაგნოზის, მკურნალობისა და უფლებების შესახებ. არ არსებობდა გასაჩივრების მექანიზმი.

ხშირად პაციენტები ასრულებდნენ პალატების დალაგებასთან, ტვირთის გადაზიდვასთან, დაუძღვრებული პაციენტების მოვლასთან, ტუალეტების დასუფთავებასთან დაკავშირებულ სამუშაოს, რის სანაცვლოდაც არ იღებდნენ ანაზღაურებას. 2007 წელსაც კი, ჩატარებული მონიტორინგის დროს პაციენტთა უმრავლესობა აცხადებდა, მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი შრომა სასჯელის ფორმად არ გამოიყენებოდა, ხშირად მათ მაინც იძულებით ამუშავებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციამ უფრო მკაცრი კონტროლი დააწესოს დაბალი მედპერსონალის მხრიდან პაციენტთა შრომის გამოყენებასა და ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებაზე და აღნიშნული მხოლოდ პროცედურების სრული დაცვით მოხდეს.

სპეციალიზებული სამედიცინო არაფსიქიატრიული დახმარების გაწევა ადმინისტრაციის პირადი კავშირების წყალობით ხდებოდა.

უკიდურესად იზღუდებოდა გარე სამყაროსთან კავშირი. პაციენტებს არ ჰქონდათ ტელეფონით, ფოსტით, ტელევიზორით და ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობის საშუალება.

გამოკითხული პაციენტები უჩიოდნენ ცემის, მტკივნეული ინექციებით დასჯის, სიტყვიერი შეურაცხყოფის, იზოლირების და ფიზიკური შეზღუდვის მეთოდებით ხშირად სარგებლობის ფაქტებს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ არსებული კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ არ შეესაბამებოდა ფსიქიატრიაში დამკვიდრებულ თანამედროვე სტანდარტებს და ვერ უზრუნველყოფდა სტაციონარებში ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების უფლებების დაცვას.

2006 წელს სახალხო დამცველის დიდი ძალისხმევით შედეგად ვითარება შედარებით გამოსწორდა. სახალხო დამცველის მიერ გაწეული რეკომენდაცია ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ გაითვალისწინეს და თბილისის ა.ზურაბიშვილის სახელობის ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს გაზის მიწოდება აღუდგა.

2006 წელს საავადმყოფოებში დაიწყო პაციენტთა პალატების რეაბილიტაცია, გათბობის სისტემების მოწესრიგება. გაუმჯობესდა კვება და მედიკამენტებით მომარაგება. პაციენტებს მიეცათ აბაზანის შედარებით რეგულარულად მიღების საშუალება. დაიწყო ინვენტარის შეცვლა. თუმცა, კვლავ პრობლემად დარჩა პაციენტთა დაუსაბუთებლად დაყოვნება დაწესებულებებში.

სახალხო დამცველის მიერ მონიტორინგის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” ახალ კანონზე მუშაობა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის ბოლოს მიიღო და 2007 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. ახალ კანონში აისახა ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების ყველა ის უფლება, რომლებზეც საერთაშორისო აქტებშია მითითებული. იგი თანამედროვე ფსიქიატრიაში დამკვიდრებულ სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ფსიქიატრიული დაწესებულებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოფილი თანხები 30%-ით გაიზარდა.

ამ სასიკეთო ცვლილებების ფონზე მონიტორინგი კვლავ გრძელდებოდა, რადგან დაწესებულებებში მაინც ირღვეოდა პაციენტთა უფლებები.

აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა უფლებების დასაცავად მოუმზადებელი აღმოჩნდა მედიაც. პრესაში გაჩნდა არაკორექტული სტატიები, რომლებიც აღრმავებდა სტიგმას ასეთი პაციენტების მიმართ.

2007 წელს რამდენიმე საავადმყოფოში (მაგ.: ბათუმში და ქუტირში არსებული დაწესებულებები) მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა.

განყოფილებებს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. დაწესებულებებში სისუფთავე დაცულია, პალატები და დერეფნები სათანადოდ არის განათებული.

მოწესრიგდა გათბობის პრობლემა. თეთრეული რეგულარულად იცვლება, თუმცა პაციენტების უმრავლესობას ტანსაცმელი კვლავ მოუწესრიგებელი აქვს და დაწესებულებები მათ ვერ უზრუნველყოფს ტანსაცმლის სტანდარტული პაკეტით.

ჰიგიენური საშუალებები ხელმისაწვდომია და პაციენტებს აბაზანის რეგულარულად მიღების საშუალება აქვთ. კვება ოთხჯერადია და გამოკითხული პაციენტები კმაყოფილი არიან საკვების ხარისხით და ოდენობით.

ამავე დროს, მონიტორინგის შედეგად კვლავ გამოვლინდა დაწესებულებები, რომლებშიც აღინიშნება სტაგნაცია საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მხრივ. მონიტორინგის განხორციელებამ და შედეგების გახმაურებამ მედიის საშუალებებით გამოიწვია საზოგადოების და თავად ფსიქიატრიული დაწესებულებების ადმინისტრატორების ინტერესი პაციენტის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

მონიტორინგის საბჭოში წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მონაწილეობით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ტრენინგი, რომელიც ემსახურება საავადმყოფოების ადმინისტრაციებისა და პერსონალის ინფორმირებას ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა უფლებების შესახებ.

პაციენტთა უფლებების დარღვევა 2007 წლის მდგომარეობით რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს, კერძოდ:

გარე სამყაროსთან კავშირი

პაციენტებს აქვთ მნახველების მიღების საშუალება. თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შვებულებით სარგებლობის საშუალება კვლავ არ ეძლევა.

პაციენტებს არ შეუძლიათ წერილების გაგზავნა და მიღება, რადგან ამისთვის არ აქვს საჭირო საშუალებები. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ მათი გაგზავნილი წერილი ადრესატს არ მიუვა.

პაციენტებს არ აქვთ ტელეფონით სარგებლობის საშუალება, რადგან განყოფილებებში მათთვის ტელეფონი არ არის დამონტაჟებული.

სამედიცინო მომსახურება

დაფინანსების სიმცირის გამო კვლავ პრობლემად რჩება პაციენტთა უზრუნველყოფა სამედიცინო არაფსიქიატრიული მომსახურებით, რის გამოც მათ ჯანმრთელობის მდგომარეობა ხშირად ურთულდებათ. მონიტორინგმა გამოავლინა შემთხვევა, როცა პაციენტი თვეების განმავლობაში ამაოდ ელოდა ქირურგის კონსულტაციას ფეხზე მიღებულ მძიმე ტრავმასთან დაკავშირებით.

სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობა

გამოკითხულ პაციენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ პერსონალის მხრიდან იყო ცემის, მუქარის და ყვირილის ფაქტები.

პაციენტები ხშირად აგრესიას იმსახურებენ, როდესაც მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებენ.

მოქალაქე ჟ.ჯ.-ს საქმე

მოქალაქე ჟ.ჯ. მკურნალობდა ერთ-ერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ნებაყოფლობით. სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით და მისი ოჯახის წევრების განმარტებით ჟ.ჯ. საავადმყოფოში მოთავსდა გარეგანი ფიზიკური დაზიანებების გარეშე.

მკურნალობის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ საავადმყოფოს პერსონალი დაუკავშირდა ჟ.ჯ.-ს შვილს და სთხოვა საავადმყოფოდან წაეყვანა მამამისი, რადგან მისი მდგომარეობა კრიტიკული იყო. ჟ.ჯ.-ს შვილმა დაუყოვნებლივ ჩააკითხა და ადგილზე ნახა, რომ მამამისს ზურგზე ჰქონდა ფართო წყლულოვანი დაზიანება, იყო ჰიგიენურად მოუწესრიგებელი, მკბენარების ნაკბენებით და გაურკვეველი წარმოშობის ნაჭდევებით კიდურებზე და თავზე.

სახალხო დამცველის ჩარევის შედეგად ჟ.ჯ. გადმოყვანილ იქნა აღნიშნული საავადმყოფოდან და სახლში მოვლის პირობებში მისი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა. შემდგომში მოთავსებული იქნა სტაციონარში, სადაც ერთდროულად მიიღო ფსიქიატრიული და ქირურგიული დახმარება. ამჟამად ჟ.ჯ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექიმების შეფასებით მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აღნიშნული შემთხვევა გადაეგზავნა პროკურატურას საქმის გამოძიების დაწყების მიზნით. გამოძიება დაიწყო 144³ მუხლით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მუხლით).

უფლებების შესახებ ინფორმაცია

გამოკითხული პაციენტების უმრავლესობა საკუთარი დაავადების და დიაგნოზის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, არ იცის რამდენ ხანს უნდა დაჰყოს დაწესებულებაში და არ არის ინფორმირებული საკუთარ უფლებებზე. თუმცა რამდენიმე დაწესებულებაში ინფორმაცია პაციენტების უფლებების შესახებ გამოქვეყნებულია.

დისკრიმინაციის აკრძალვა

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ ადგილი აქვს პაციენტთა დისკრიმინაციას. მედპერსონალს ჰყავს "ასისტენტები" პაციენტთა შორის, რომლებიც სხვადასხვა პრივილეგიით სარგებლობენ.

საჩივრის შეტანის უფლება

შიდა საჩივრების მექანიზმი კვლავ არ მუშაობს. მხოლოდ ერთ დაწესებულებაში არის დამონტაჟებული საჩივრის ყუთები, რომელშიც ადმინისტრაციის განცხადებით "წელიწადში 2-3 წერილი აღმოაჩინეს და ისიც აბსურდული".

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი და საზოგადოება

2007 წ. სახალხო დამცველის აპარატმა და საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭომ შეისწავლა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების უფლებათა დარღვევის ფაქტები საზოგადოების მხრიდან. კერძოდ:

მოქალაქე ქ.ყ.-ს საქმე

მოქალაქე ქ.ყ. 4 წლის განმავლობაში საკუთარი ოჯახის წევრებს შინაპატიმრობაში ჰყავდათ. ქ.ყ. ბნელ, ამორტიზებულ ოთახში, გათბობას, სანიტარულ პირობებს, ნორმალურ კვებას და ტანსაცმელს მოკლებულმა გაატარა 4 წელი. მას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არ ჰქონია საწოლი, ჭურჭელი, აბაზანის მიღების საშუალება, ადამიანებთან ურთიერთობის უფლება. ქ.ყ.-ს ოჯახის წევრები მის ჩაკეტვას უკავშირებდნენ შიშს, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანის შემთხვევაში მას მოკლავდნენ, ხოლო თავისუფალი რეჟიმის პირობებში იგი ოჯახს სირცხვილს მოუტანდა და ან დაიკარგებოდა გაქცევის შედეგად. ამასთანავე ფსიქიატრების დასკვნით იგი არ ექვემდებარებოდა არანებაყოფლობითი სტაციონირებას, შესაბამისი კრიტერიუმების არარსებობის გამო.

სახალხო დამცველისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს ექსპერტებმა ადგილზე შეისწავლეს ქ.ყ.-ს მდგომარეობა სოციალურ და უფლებრივ ჭრილში. მათი ჩარევის შედეგად ქ.ყ.-ს მოეხსნა შინაპატიმრობა, უზრუნველყოფილ იქნა მინიმალური საცხოვრებელი სტანდარტებით, დაენიშნა მკურნალობა, ოჯახის წევრებს განემარტათ მისი უფლებები და უფლებების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული ზომები. ამ შედეგების მისაღწევად სახალხო დამცველის და მონიტორინგის საბჭოს ექსპერტებს დასჭირდათ რამდენიმე ვიზიტი და ხანგრძლივი მოლაპარაკების პროცესი.

მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემთხვევაში სახალხო დამცველის წარმომადგენლებს რჩებოდათ ერთადერთი გამოსავალი, რომ დაეწყოთ რეაგირება

შინაპატიმრობის ფაქტზე, დაეყენებინათ ქ.ყ.-ს ქმედუუნარობის საკითხი და ეზრუნათ მისთვის მეურვის დანიშვნაზე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ოჯახის წევრების მიერ ქ.ყ.-ს ჩაკეტვა არ მომხდარა მის მიმართ ბოროტი განზრახვის გამო, არამედ იმის გამო, რომ ოჯახი ამ გზას მიიჩნევდა ერთადერთ "ღირსეულ" გამოსავლად.

მოქალაქე ლ.ჭ.-ს საქმე

მოქალაქე ლ.ჭ. 2 წლის განმავლობაში იყო დამწყვედელი ვიწრო სათავსოში, მოკლებული მინიმალურ საცხოვრებელ სტანდარტებს. 2005 წელს სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობის დასრულების შემდეგ იგი დაუბრუნდა ოჯახს, სადაც მედიკამენტური მკურნალობის გაგრძელებაზე უარის თქმის შედეგად მისი ფსიქიკური მდგომარეობა გაუარესდა. იმის გამო, რომ ლ.ჭ. ხშირად იკარგებოდა სახლიდან გასვლის შემდეგ, იქცეოდა უჩვეულოდ და იყო არაპროგნოზირებადი, ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს ჩაეკეტათ მცირე სათავსოში, სადაც მან დაჰყო 2 წელი. ამ პერიოდის განმავლობაში იგი მოკლებული იყო მინიმალურ საცხოვრებელ სტანდარტებს და იმყოფებოდა უკანონო შინაპატიმრობაში.

სახალხო დამცველის აპარატის და საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს ექსპერტებმა ადგილზე შეისწავლეს ლ.ჭ.-ს მდგომარეობა სოციალურ და უფლებრივ კრილში. მშობლებთან მოლაპარაკების შედეგად გამოჩნდა, რომ მშობლები ზუსტად და მართებულად აფასებდნენ მდგომარეობას. ისინი თვლიდნენ, რომ ლ.ჭ.-ს შინაპატიმრობაში იძულებით მოქცევა იყო გამოუვალი მდგომარეობის შედეგად გადადგმული ნაბიჯი და მზად აღმოჩნდნენ იმ პრინციპული ნაბიჯების გადასადგმელად, რაც სახალხო დამცველმა და მონიტორინგის საბჭომ შესთავაზა.

ლ.ჭ. დღეს გადაყვანილია ერთ-ერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და მკურნალობის შედეგად მისი მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ექიმების პროგნოზით მკურნალობის დასრულების შემდეგ იგი შეძლებს ოჯახთან და საზოგადოებასთან თანაცხოვრებას.

მოქალაქე თ.კ.-ს საქმე

მოქალაქე თ.კ. მკურნალობდა ერთ-ერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც მოთავსებიდან მცირე ხნის შემდეგ რუტინული შემოწმებისას მედპერსონალმა აღმოაჩინა, რომ იგი არის ორსულად. ამის შესახებ პაციენტმა მოუთხრო საკუთარ დედას და პირს, რომლისგანაც სავარაუდოდ იყო ორსულად. შედეგად დედის და აღნიშნული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ორსულობის შეწყვეტის იძულების მიზნით. ზეწოლის შედეგად სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე თ.კ.-მ და განაცხადა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ზეწოლას.

სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შედეგად, თ.კ.-ს დედას განემარტა ორსული ქალის უფლებები, ორსულობის შეწყვეტის სამართლებრივი ნიუანსები და ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის უფლებები, ხოლო თ.კ.-ს ჩაუტარდა შემდგომი კვლევა ორსულობის ხანდაზმულობის დადგენის მიზნით. განმარტების მიცემის შემდეგ დედამ და ზემოაღნიშნულმა პირმა შეწყვიტეს პაციენტზე ზეწოლა, ხოლო 1 კვირის გასვლის შემდეგ ორსულობის ხანდაზმულობამ გადააჭარბა 24 კვირას, რის შემდეგაც სამედიცინო ჩვენების გარეშე ორსულობის შეწყვეტა მოკლებულია კანონიერ საფუძველს.

ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის თანხების გაზრდის მიუხედავად, დაფინანსება მაინც არ არის საკმარისი, რის გამოც ვერ ხერხდება ინფრასტრუქტურის ბოლომდე მოწესრიგება, განყოფილებების საფუძვლიანად გარემონტება და კვალიფიციური კადრების მოზიდვა. მონიტორინგით მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობა პაციენტთა უმრავლესობას არ ეხმარება საზოგადოებაში დაბრუნებასა და ჩვეული ცხოვრების რიტმთან ნორმალურ ადაპტაციაში.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სახალხო დამცველის ინიციატივით განხორციელებული მონიტორინგი საქართველოში ზემოაღნიშნულ ინსტიტუციებზე საზოგადოებრივი კონტროლის პირველი შემთხვევა იყო. ამ თემას არაერთი პრესკონფერენციაც მიეძღვნა. ამგვარმა აქტივობებმა გაზარდა საზოგადოების ლიბერალობა ზემოაღნიშნული თემების მიმართ. პოზიტიური ცვლილებები ნათელია, თუმცა საბოლოო სასურველი შედეგის მისაღწევად კიდევ ბევრი სამუშაოა გასაწევი ამ სფეროში.

ხანდაზმულთა სახლების, პანსიონატების მონიტორინგი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2007 წლის მაისში, მონიტორინგი ჩაატარა საქართველოს მასშტაბით არსებულ თითქმის ყველა ხანდაზმულთა თავშესაფარში მათში ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესასწავლად. დაწესებულებებს შორის იყო თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი, ხანდაზმულთა სახლი "ბეთელი", სათნოების სახლი "კათარზისი", ძეგრის შშმპ-თა პანსიონატი, საპატრიარქოსთან არსებული ძეგვის ხანდაზმულთა სახლი, ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი და ხანდაზმულთა სახლი "სათნოება".

მონიტორინგის მიზანი იყო ხანდაზმულთათა სახლებსა და პანსიონატებში ადამიანის უფლებების დარღვევათა შესწავლა, ინფორმაციის შეგროვება მათი საცხოვრებელი, კვების, უსაფრთხოების, სამედიცინო მომსახურების, მოვლის, რეაბილიტაციის და ღირსეული მოპყრობის პირობებზე, შეგროვილი ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

მონიტორინგმა გამოავლინა საცხოვრებელი, კვების და სხვა პირობების ის კონტრასტული სურათი რომელიც ხანდაზმულთა სხვადასხვა დაწესებულებას შორის არის.

ზოგადი სურათით თბილისში არსებული ორი დაწესებულების გარდა, საცხოვრებელი პირობები ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს. ტუალეტები და სააბაზანოები გამოსულია მწყობრიდან. მობინადრეები უზრუნველყოფილი არ არიან ჰიგიენური საშუალებებით. გათბობის სისტემები და ელექტროგაყვანილობა უსაფრთხოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ინვენტარი მოძველებული და არასაკმარისია. თითქმის ყველა დაწესებულება საჭიროებს რემონტს.

მოზინადრეთა მოვლის პირობები არ არის დამაკმაყოფილებელი, ხშირ შემთხვევაში პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია. მოზინადრეები სათანადო ყურადღებას ვერ იღებენ. უმრავლესობას სამედიცინო მომსახურებაზე და სხვადასხვა პროფილის ექიმის კონსულტაციაზე ხელი არ მიუწვდება. მედიკამენტებით უზრუნველყოფა არასაკმარისია.

ინფორმაციის მიღების უფლება არ არის რეალიზებული. მოზინადრეები არ იცნობენ შინაგანაწესს, მხოლოდ ნაწილს აქვს ტელევიზორით და ტელეფონით სარგებლობის საშუალება. გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცის რაში იხარჯება სახლემწიფოს მხრიდან მათთვის გამოყოფილი თანხა. შიდა გასაჩივრების მექანიზმი არ მუშაობს.

მოზინადრეებს უწევთ დაწესებულების საჭიროებისთვის შრომა სამართლიანი ანაზღაურების გარეშე.

ხანდაზმულთა სახლებში/პანსიონატებში ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ საქართველოში ხანდაზმულთათვის არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულთა ოჯახებში, საზოგადოებაში და ეკონომიკური განვითარების პროცესში მონაწილეობის მხარდაჭერას, ხელს არ უწყობს მათ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხანდაზმულებს შემოსავალზე ორიენტირებული მოღვაწეობის გაგრძელების საშუალება არ ეძლევათ მანამ, სანამ მათ ამის სურვილი და პროდუქტიულობა აქვთ.

ხანდაზმულთათვის არსებული დაწესებულებების რაოდენობა არასაკმარისია, რადგან გაცილებით მეტი მიუსაფარი, მარტოხელა და ეკონომიკურად შეჭირვებული ხანდაზმულია, ვიდრე რესურსები მათი მოვლა პატრონობის, კვების, პირველადი სამედიცინო მომსახურების და რეაბილიტაციისთვის.

ასეთი დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში ახდენს ხანდაზმულთა იზოლირებას საზოგადოებისგან და ართმევს მათ სოციალურ და ეკონომიკურ როლს.

არაერთგვაროვანია ასევე ხანდაზმულთა სახლებში/პანსიონატებში არსებული პირობები. ასეთი დაწესებულებების მიმართ ერთიანი მიდგომა საერთო სტანდარტების დამკვიდრების მიზნით არ ფუნქციონირებს.

სახალხო დამცველმა შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომლებიც დაეგზავნათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებსა და დაწესებულების დირექტორებს.

პროკურატურის მიერ სავარაუდო ცემის და წამების ფაქტებზე წარმოებული გამოძიება

სახალხო დამცველი თვალყურს ადევნებს თუ როგორ მიმდინარეობს საგამოძიებო ორგანოებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და სასჯელაღსრულების სისტემაში დაფიქსირებულ სხეულის დაზიანების ფაქტებზე რეაგირების

მოთხოვნით გაგზავნილი საქმეების გამოძიება. პროკურატურიდან და შს სამინისტრომ ორგანოებიდან მოწოდებული მასალებით გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია, რის საფუძველზეც შეიძლება ვიმსჯელოთ საგამოძიებო ორგანოების დამოკიდებულებაზე ცემის, წამების და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. პროკურატურა ზოგიერთ შემთხვევაში ზერელედ უდგება პატიმართა და დაკავებულთა ცემის ფაქტების გამოძიების საკითხს. გამოძიება ატარებს ფორმალურ ხასიათს და ხშირ შემთხვევაში მთავრდება საქმის შეწყვეტით პოლიციელთა ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ ცემის საქმეებზე, უმეტეს შემთხვევაში არ ჩატარებულა სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რაშიც იგულისხმება ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რათა დადგინდეს საქმეზე ჭეშმარიტება. ხშირ შემთხვევაში არ ხდება სხეულის დაზიანების ხასიათის და სიმძიმის ხარისხის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა. ხოლო ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში ხდება გამოძიების მხრიდან არალოგიკური და არადამაჯერებელი ვერსიების შეთხზვა, რათა ახსნან დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანების წარმოშობის მიზეზი.

პოლიციელთა მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის გაბათილება ხდება თავად პოლიციელთა ჩვენებებით. საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევებში პოლიციელთა ჩვენებები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს, რაც სავარაუდოდ წინასწარ შეთანხმებულია გამოძიებასთან საქმის შეწყვეტის მიზნით. როგორც წესი, დაკავებულის მიერ ხდება მისი თავდაპირველი ჩვენების გადათქმა პოლიციელთა სასარგებლოდ, რაც მის დაუცველობასა და პოლიციის მხრიდან დიდ წნეხზე მიუთითებს. პროკურატურა ყველანაირად ხელს აფარებს და თვალს ხუჭავდა პოლიციელთა მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე. პოლიციელთა არაპროფესიონალიზმი იმაშიც ვლინდება, რომ მათი ქმედება მიმართული იყო არა დანაშაულის თავიდან აცილებისკენ, არამედ სავარაუდო დამნაშავე პირისთვის ბრალის კიდევ უფრო მეტად დამძიმებისკენ. სახალხო დამცველმა რამდენიმე ასეთი საქმე შეისწავლა:

1) ქ. თბილისის შს სამმართველოს სსს განყოფილების თანამშრომლების, ამავე სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმისა და ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ განხორციელებული ერთობილივი ოპერაციის შედეგად დააკავეს, ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი გელა ტორიტაძე, რომელიც დროებითი მოთავსების იზოლატორში მოინახულა სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა და დააფიქსირა მის სხეულზე არსებული დაზიანებები. აღნიშნულის საფუძველზეც ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პროკურატურამ დაიწყო წინასწარი გამოძიება ვაკე-საბურთალოს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის I ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით სახალხო დამცველმა შეიტყო, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულ გელა ტორიტაძეს გარეგანი დათვალიერებით აღენიშნებოდა მარჯვენა ყვრიმალის

ჰიპერემია, მარჯვენა ყბის კანის ჰიპერემია და ექსკორაცია, ორივე წვივის ზედაპირზე მრავლობითი ნაკაწრები და ექსკორაციები. გ. ტორიტადის განმარტებით აღნიშნული დაზიანებები **მან** დაკავებისას მიიღო.

სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა გელა ტორიტადემ, აჩვენა, რომ ქ. თბილისის #2 დროებითი მოთავსების იზოლატორში მოინახულეს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა, რომლებსაც გასაუბრებისას განუცხადა, რომ დაზიანებები მიაყენა ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში ვინმე ბაქსადემ. ხოლო სინამდვილეში, კი აღნიშნული დაზიანება მიიღო ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში შეყვანისას, როდესაც სახის არეში შემთხვევით მოხვდა გაღებული კარი, რადგან იმ მომენტში ძალიან აღელვებული იყო, ჩათვალა, რომ აღნიშნული პოლიციელთა მხრიდან გაკეთებული იყო განგებ, მაგრამ ახლა ხვდება, რომ ეს მოხდა შემთხვევით და მისთვის არც დაკავებისას და არც შემდგომ, ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში მიყვანისას რაიმე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. რაც შეეხება ნაკაწრებს, რომელიც მას იზოლატორში შეყვანისას დაუფიქსირდა წვივებზე, განმარტა, რომ ეს დაზიანებები განუვითარდა ქავილის შედეგად და არავის მიმართ პრეტენზია არ აქვს.

მოწმის სახით დაკითხა ასევე ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს სსს განყოფილების ინსპექტორი კ.ტყეშელაშვილი, რომელმაც განმარტა, რომ მონაწილეობა მიიღო ყაჩაღობაში ექვმიტანილი, გ.ტორიტადის დაკავებაში და გ.ტორიტადის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის და პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რაც თავისი ჩვენებებით დაადასტურეს გ.ტორიტადის დაკავებაში მონაწილე ქ.თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ნ.გვიმრაძემ, მ.რუხაძემ და დ.ბიჩინაშვილმა. ზემოხსენებული გარემოებების გამო საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა.

გამოძიებამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე სარწმუნოდ მიიჩნია გ.ტორიტადის ეს არალოგიკური გაცხადება. იმისათვის, რომ დადგინდეს დაზიანება რისგანაც არის მიღებული - კარზე შეჯახებისა თუ ქავილისაგან საჭიროა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშნვა, რაც გამოძიებას არ ჩაუტარებია.

თავად გ.ტორიტადე პრეტენზიას პოლიციის მუშაკების მიმართ არ აცხადებდა, თუმცა როდესაც დაკავებულ პირს სხეულზე დაზიანებები ან ძალადობის აშკარა კვალი აღენიშნება, ან დაკავებული აცხადებს, რომ პოლიციელთა მხრიდან მის მიმართ განხორციელდა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა, დიდი ალბათობაა, რომ მის მიმართ განხორციელდა წამება, წამების მუქარა ან დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, სისტემატურად გადახედოს დაკითხვის წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, ასევე, დაკავებისა და იმ ადამიანების მიმართ მოპყრობის ზომებს, რომლებიც ექვემდებარებიან დაკავების, დაპატიმრების ან თავისუფლების აღკვეთის

ნებისმიერ ფორმას, როგორც წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების ქმედით ზომას.

წამების ან სხვა ღირსების შემლახავი მოპყრობის საქმეთა გამოძიების სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, მაშინაც კი, როცა გამოძიება არ უჭერს მხარს წამებასა და ღირსების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებულ საჩივარს, აუცილებელია გამოძიების შესაბამისად წარმოება, რის შესახებაც უნდა ეცნობოს საზოგადოებას. საჩივართან დაკავშირებით მიღებული უნდა იყოს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება, რომელშიც მტკიცებულებებთან ერთად მოცემული იქნება საბოლოო დასკვნა. აღნიშნული პრინციპების თანახმად, ყველა ინციდენტის გამოძიება უნდა მოხდეს, როგორც წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის პოტენციური დანაშაულის გამოძიება, ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო; უნდა დაიგეგმოს და დადგინდეს სტრუქტურა იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ მთელ მიღებულ ინფორმაციაზე გაკეთებულია სათანადო რეაგირება და რომ ჩატარებულია გადაუდებელი გამოძიება ფაქტების სწრაფად და ზუსტად დადგენის მიზნით და სხვა.

* * *

ხშირია შემთხვევები, როცა პროკურატურა არ იწყებს გამოძიებას სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილ მონიტორინგის ოქმების საფუძველზე, სადაც თავისუფლებაშეზღუდული პირები აღნიშნავენ პოლიციისა თუ სასჯელაღსრულების ორგანოების თანამშრომლების მიერ მათზე განხორციელებულ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ზემოქმედების ფაქტებს. მონიტორინგის ოქმის მიღების შემდეგ გამომძიებელი თუ პროკურორი ხვდება დაკავებულს (ბრალდებულს), „ესაუბრება“ მას და ადგენს ოქმს, რომელშიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი უარყოფს მის მიმართ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ფაქტს.

გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზეპირ გამოკითხვას - „გასაუბრებას“ როგორც საპროცესო მოქმედებას. ამდენად, სრულიად შესაძლოა, რომ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულმა პირებმა უარყონ მათზე განხორციელებული წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გარკვეული გარიგების სანაცვლოდ. აქედან გამომდინარე, საფრთხე ექმნება წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებას, რასაც ითვალისწინებს როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო დოკუმენტები (სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია). მაგალითად:

2006 წლის 6 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროს **სასჯელაღსრულების დეპარტამენტის** #1 საპყრობილის დირექტორი ლევან მარუაშვილი რამდენიმე პიროვნებასთან ერთად შევიდა ერთ-ერთ საკანში, სადაც იმყოფებოდნენ პატიმრები: მიხეილ კერესელიძე, ოთარ ბაბოევი, თამაზ შავეშოვი და გურამ ვაშაკიძე. ლევან მარუაშვილი პატიმრებს დაწესებულების ახალ დირექტორად წარუდგა. მან

პატიმრებს მობილური ტელეფონების ჩაბარება მოსთხოვა და თან დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ნივთს „ჩაუდებდა“ და სასჯელს დაუმატებდა. როცა ჩხრეკის შემდეგ საკანში უკანონო ნივთი არ აღმოჩნდა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა პატიმრები ცალ-ცალკე გაიყვანეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. პატიმრებს გარეგნული დათვალიერების შედეგად აღენიშნებოდათ სხეულის დაზიანებები ზურგისა და ფეხის არეში. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს პატიმრებს და ოქმები შეადგინეს, რაც შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს პავლე კოვზირიძეს და საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს.

შემდგომ, პატიმრებს საპყრობილის დირექტორის ოთახში შეხვდნენ და გაესაუბრნენ გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს თანამშრომლები, ა.ნადარეიშვილი და ზ.ბეგიაშვილი. საუბარს ესწრებოდნენ საპყრობილის დირექტორი ლევან მარუაშვილი და მისი მოადგილე, რომელთა იქ ყოფნაც პატიმრებზე ერთგვარ ზეწოლის საშუალებად აღიქმებოდა და ხელს უშლიდა შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების ეფექტურ გამოძიებას (აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა წერილი გაუგზავნა გენერალურ პროკურატურას). ეს ფაქტი სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა შემთხვევით აღმოაჩინეს. კითხვაზე, თუ რა პროცესუალური მოქმედება ხორციელდებოდა და რატომ ესწრებოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამ მოქმედებას, გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა უპასუხეს, რომ ოფიციალურად არანაირი საპროცესო მოქმედება არ ხორციელდებოდა და ისინი უბრალოდ „ესაუბრებოდნენ“ პატიმრებს 6 სექტემბრის ფაქტთან დაკავშირებით.

* * *

მაგალითად, 2007 წელს სახალხო დამცველმა გამოიძია შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსთან, ირაკლი კოდუასთან დაკავშირებული ფაქტი. კერძოდ: 2007 წლის 18 თებერვალს, ღამის 3 საათზე ირაკლი კოდუას მეგობარს, ნატოს საინფორმაციოს ცენტრის უფროსს ნანუკა ჟორჟოლიანს მობილურ ტელეფონზე დაურეკა ერთმა ახალგაზრდა კაცმა. ამ ფაქტის გამო ირაკლი კოდუას ბრძანებით დააპატიმრეს ტელეფონის მფლობელი ლაშა ხურგუანი და მასთან ერთად სამარშრუტო მიკროავტობუსში შემთხვევით მყოფი ორი ახალგაზრდა – ძმები გოჩა და ხვიჩა მილდიანები, რომლებიც, რატომღაც, პოლიციელებმა ხორგუანის მეგობრებად მიიჩნიეს.

იმისათვის, რომ შეექმნათ დაკავების კანონიერი საფუძველი, პოლიციამ შექმნა ყალბი დოკუმენტი, თითქოს ამ სამი პირის მონაწილეობით არსებობდა „კარგად ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფი“. დაკავების შემდეგ გააფორმეს, თითქოს დაკავებულებს ჰქონდათ დიდი რაოდენობით ნარკოტიკი და 3 ყუმბარა და თითქოს მათ დაკავების დროს პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. სახალხო დამცველის

წარმომადგენლებმა დაკითხეს დაკავების მოწმე 6 პირი – მიკროავტობუსის მძღოლი და 5 მგზავრი და ყველამ დაადასტურა, რომ ჩხრეკის დროს დაკავებულ პირებს არც ნარკოტიკი ჰქონიათ და არც იარაღი და მათ პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. დაკავების შემდეგ ამ 3 პირს ნარკოტიკი გაუკეთეს.

როცა პოლიციამ გაარკვია, ძმები მილდიანები შემთხვევით იყვნენ დაკავებული, ისინი 2 დღეში გაათავისუფლეს, თუმცა ფალსიფიცირებული დოკუმენტები აღარ შეცვალეს და სასამართლომ ორივეს დაუდგინა ნარკოტიკის მოხმარება, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაცა და ნარკოტიკის გადაზიდვაც, ხოლო ერთ-ერთ ძმას ყუმბარების ქონაც. შესაბამისად, ერთი ძმის დანაშაულისთვის სანქცია 17 წელს აღწევდა, მეორისა – 25 წელს.

იმ ფონზე? როცა სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ორ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და ბრძოლა ნარკომანიისა და ნარკოტიკების გამსაღებლების წინააღმდეგ, გამოძიებაც, პროკურატურაც და სასამართლოც უპრეცედენტო ღმობიერებას იჩენენ და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებსა და ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს მინიმალურ სასჯელს უფარდებენ – თითოეულს 5 წლით თავისუფლების პირობით აღკვეთას, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმას – სამ-სამი ათას ლარს.

მესამე პირი – ტელეფონის ავტორი – მხოლოდ 2 თვის შემდეგ გაათავისუფლეს 5 წლით თავისუფლების პირობით აღკვეთითა და დამატებით სასჯელად ხუთიათასი ლარის ოდენობის ჯარიმით, მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ მართალია, ზარი მისი ტელეფონიდან იყო გაშვებული, მაგრამ ზარის გამშვები სხვა იყო. ეს ყველაფერი დოკუმენტურად არის სახალხო დამცველის მიერ დამტკიცებული, თუმცა იმედი, რომ გამოძიება იმავეს დაადასტურებს, ნაკლებია.

ეს ყველაფერი დოკუმენტურად არის სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ დამტკიცებული, თუმცა იმედი, რომ გამოძიება იმავეს დაადასტურებს, ნაკლებია.

სამინისტროს საქმიანობაზე კონტროლს პარლამენტი ახორციელებს. იქიდან გამომდინარე, რომ სამართალდამცავი პირების მიერ თითოეული პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უმიზეზოდ შექმნილი საფრთხე აღქმული უნდა იყოს, როგორც მთლიანად ქვეყნის სტაბილურობისთვის შექმნილი საშიშროება, პარლამენტმა თავის მხრივ, უნდა მოახდინოს რეაგირება შსს თანამშრომელთა მიერ უფლება დარღვევებზე.

* * *

ანალოგიური მდგომარეობა იყო სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გახმაურებულ ფაქტთან დაკავშირებით, როცა 2006 წლის იანვარში პოლიციის მაღალჩინოსნებმა პირადი შურისძიების მიზნით უკანონოდ თავისუფლება აღუკვეთეს 27 წლის სანდრო გირგვლიანს. გირგვლიანი თავის მეგობართან ერთად გაიყვანეს ქალაქგარეთ, სასაფლაოზე, სადაც ისინი გააშიშვლეს, აწამეს და მიაყენეს ღირსების

შემლახავი მოპყრობა. გირგვლიანი გაექცა მწამებლებს, მაგრამ ტყიდან ვერ გამოვიდა და გარდაიცვალა. შს სამინისტრო ცდილობდა, მიეჩქმალა ეს ფაქტი, მაგრამ ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გამჟღავნდა სიმართლე. საზოგადოების ზეწოლის შედეგად შს სამინისტრო იძულებული გახდა, დაეკავებინა მკვლელობის უშუალო შემსრულებლები.

სახალხო დამცველის აპარატი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს წინასწარ გამოძიებასა და საქმის სასამართლო განხილვას. საქართველოს კანონმდებლობით სახალხო დამცველს წინასწარ ან სასამართლო გამოძიებაში ჩარევის უფლება არ აქვს, თუმცა შესაძლებელია მათი მიმდინარეობის კანონიერებასა და სამართლიანობაზე შეფასების გაკეთება.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების - გ.ალანის, ა.აფციაურის, ა.ლაჭავასა და მ.ბიბილურიძის მიმართ სხვა მუხლებთან ერთად წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ (წამება) მუხლითაც უნდა დაწყებულიყო. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედება აბსოლუტურად იდენტურია მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა. კერძოდ, წამების დეფინიციას სისხლის სამართლის კოდექსი შემდეგნაირად გვაძლევს:

„წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის“.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო: პირისადმი ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით იწვევდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილსა და ფსიქიკურ ტანჯვას და რომლის მიზანი იყო პირის დაშინება და დასჯა მისი (სანდრო გირგვლიანის შემთხვევაში) ან მესამე პირის (ლევან ბუხაიძის შემთხვევაში) მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქმედება ჩადენილი იყო მოხელის (მსჯავრდებულები იყვნენ შსს თანამშრომლები) მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მ.ბიბილურიძეს თან ჰქონდა იარაღი და თუ საჭირო იქნებოდა, მზად იყვნენ „დაეკავებინათ“ ფაქტობრივად თავისუფლებადკვეთილები), ორი პირის მიმართ და ჯგუფურად. შესაბამისად მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 144¹ მუხლის მე-2 ნაწილით უნდა დაკვალიფიცირებულიყო.

სამწუხაროდ, საგამოძიებო ორგანომ გამოძიება ამ მიმართულებით არ წაიყვანა და მათ ბრალი წაეყენათ სხვა, შედარებით მსუბუქ დანაშაულთა ჩადენაში, ხოლო მოგვიანებით ცნობილ იქნენ დამნაშავედ.

მსჯავრდებულების უშუალო უფროსები – პირები, რომელთა მიმართაც არსებობდა ეჭვი, რომ ისინი იყვნენ ამ დანაშაულის დამკვეთები, თანამდებობებზე რჩებოდნენ. სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული რეკომენდაციებისა და განცხადებების შემდეგ ეს პირები – შსს ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი - გურამ დონაძე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი - დათა ახალაია და შსს გენერალური ინსპექციის უფროსი - ვასილ სანოძე გათავისუფლდნენ თანამდებობებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ზოგჯერ მაღალი თანამდებობის პირების მიმართ მაინც ხერხდება გარკვეული შედეგის მიღწევა. მაგალითად, 2005 წელს სახალხო დამცველის მიერ აღმოჩენილი წამების ფაქტის გამო თანამდებობიდან გათავისუფლეს შიდა ქართლის საოლქო (რეგიონული) პროკურორი დ.წითური, ხოლო გორის რაიონული პროკურორი ა.ბაბაჯანაშვილი დააპატიმრეს და მიუსაჯეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 2007 წლის 12 დეკემბერს მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად:

დანაშაულთა სახეები	2007 წელი		2006 წელი		2005 წელი	
	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	მათ შორის გახსნილი დანაშაული	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	მათ შორის გახსნილი დანაშაული	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	მათ შორის გახსნილი დანაშაული
წამება	40	4	13	2	11	0
წამების მუქარა	2	2	2	1	0	0
დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა	19	11	8	2	0	0

* * *

წინასწარი გამოძიების პროცესში კონკრეტულ პირთა დაზარალებულად ცნობის საკითხი საკმაოდ პრობლემატურია. პროკურატურისა და შსს-ს საგამომიებო ორგანოებში ადგილი აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის (დაზარალებულად ცნობა) არასწორ დეფინიციას და პრაქტიკაში მისი დამახინჯებული ფორმით გამოყენებას. კერძოდ, მომხდარ ფაქტზე წინასწარი

გამოძიების დაწყებისთანავე საგამოძიებო ორგანოების მიერ არ ხდება სათანადო პირების ცნობა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ იმ მოტივით, რომ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი დადგენილი არ არის, ჯერ უნდა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედებები, რომლის შემდეგაც გადაწყდება, ადგილი ჰქონდა თუ არა დანაშაულს, რის მიხედვითაც გადაწყდება პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობა. გამოძიების ორგანოს მიერ საკითხის ასეთი მიდგომა არასწორია. სსსკ-ის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღება უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ანდა რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა“. ამევე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „იმ დანაშაულის საქმეზე, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს“. ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, როგორც კი დაიწყება წინასწარი გამოძიება საქმეზე (მომხდარ ფაქტზე, სავარაუდოდ - დანაშაულებრივ ქმედებაზე), ავტომატურად უნდა მოხდეს სათანადო პირთა ცნობა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. აღნიშნული პრობლემა უმეტესად წარმოიშობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ექვმიტანილებისა თუ ბრალდებულების დაღუპვის, დაკავებულ პირთა ფიზიკური შეურაცხყოფის, საპატიმრო ადგილებში პატიმართა თვითმკვლელობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიებების დროს. ვინაიდან გამოძიების ორგანოს მიერ არ ხდება შესაბამისი პირების ცნობა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მათ არ ეძლევათ საშუალება ისარგებლონ გამოძიების მიმდინარეობისას სსსკ-ის 69-ე მუხლით (დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის უფლებები) დადგენილი უფლებებით, რაც, სსსკ-ის მე-18 მუხლიდან გამომდინარე (საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული), იწვევს გამოძიების ობიექტურობის ექვქვემ დაყენებას. მსგავს ფაქტებზე დაწყებული გამოძიების დროს, გამოძიების ორგანო თავად უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ უფლებამოსილმა პირებმა დასვან გამოძიების წინაშე კითხვები საქმეზე არსებულ საეჭვო გარემოებებთან დაკავშირებით და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით მიიღონ მათზე ადეკვატური პასუხები, რაც, საბოლოო ჯამში, მოხსნის უნდობლობას გამოძიებისადმი. ამავდროულად, თუ გამოძიების მსვლელობისას გაირკვევა, რომ არ არსებობს დაზარალებულად ცნობის საფუძველი, სსსკ-ის 68-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, პროცესის მწარმოებელი ორგანო გამოიტანს განჩინებას (დადგენილებას), რომლითაც გააუქმებს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განჩინებას (დადგენილებას). აღნიშნულიდან გამომდინარე, პირის დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხი არ უნდა იყოს პრობლემატური გამოძიების ორგანოს მხრიდან.

* * *

მოხსენებიდან ნათლად ჩანს, რომ საყოველთაო აკრძალვის მიუხედავად, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები მაინც გვხვდება საქართველოში, განსაკუთრებით დახურული ტიპის ინსტიტუციებში.

თუ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებას შევადარებთ ტრეფიკინგის დანაშაულს, რომელიც გამოძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო რთული გამოსადიებელია, ვიდრე წამების ფაქტი, დავრწმუნდებით, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში გაცილებით მეტი წარმატებებია მიღწეული. ხელისუფლების მხრიდან აშკარად გადადგმულმა ნაბიჯებმა და ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის ქვეყნისთვის პრიორიტეტად გამოცხადებამ, საგამოძიებო ორგანოების უკომპრომისო პოზიციამ და ადეკვატურმა სასჯელებმა განაპირობა ამ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში სერიოზული წარმატებების მიღწევა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის სპეციალურ ანგარიშში შეფასებათა შკალის უმაღლეს საფეხურზე საქართველოს გადანაცვლება.

2007 წლის პირველ 8 თვეში სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) და 143² (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) მუხლებით გამოძიება 22 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო. განაჩენი დადგა 12 სისხლის სამართლის საქმეზე 15 პირის მიმართ. მათ შორის ერთ-ერთ მსჯავრდებულს, რომელმაც ორი ადამიანის, მათ შორის ერთი არასრულწლოვანის წინააღმდეგ ჩაიდინა ტრეფიკინგის დანაშაული, 2007 წლის 26 აპრილს სასამართლომ 26 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2007 წლის სტატისტიკური მონაცემებით ტრეფიკინგისთვის მსჯავრდებულთა საშუალო სასჯელი 13-14 წელია.

წამების დანაშაულისთვის მისჯილი სანქციები კი არაადეკვატურად მცირეა. სახალხო დამცველმა შეისწავლა საქმე, როცა არასრულწლოვნების წამებისთვის დამამძიმებელ გარემოებებში, თავიანთი უფლებამოსილების გადამეტებისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისთვის მცხეთის რაიონულმა სასამართლომ პოლიციას სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩათვალათ პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნით თანამდებობაზე საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით. ყურადღება გასამახვილებელია ზემოაღნიშნული დანაშაულების კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებზე. კერძოდ,

ლ.კ.-სა და ი.გ.-ს საქმე

2006 წლის ივნისში ახალგორის რაიონის შს განყოფილების ორმა თანამშრომელმა გ.მთაწმინდელის სახელობის ახალგორის საბავშვო სახლის აღსაზრდელების 16 წლის ლ.კ.-ს და 11 წლის ი.გ.-ს მიმართ ჩაიდინა დანაშაული. კერძოდ, ახალგორის რაიონის ფოსტის შენობიდან ელექტროსადენის ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით, ახალგორის რაიონის შს განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლებმა – ბონდო ტატუნაშვილმა და ბესიკ ორკოდაშვილმა ახალგორის საშუალო სკოლის ეზოდან, პედაგოგებთან შეუთანხმებლად, პოლიციის შენობაში წაიყვანეს აღსაზრდელები - ლ.კ. და ი.გ. დანაშაულის ჩადენაში აღიარებითი ჩვენებების მიღების მიზნით პოლიციის მუშაკებმა მათზე განახორციელეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, კერძოდ, სცემეს მუშტებითა და წყლით სავსე პოლიეთილენის ბოთლით.

რომლის მიუხედავადაც, აღსაზრდელებიდან ვერ მიიღეს აღიარებითი ჩვენება. სამართალდამცველებმა კ. და გ. გარკვეული დროის შემდეგ გაათავისუფლეს.

აღნიშნული ფაქტის მოწმე გახდა ბავშვთა სახლის შესამოწმებლად ჩასული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის დეპარტამენტის თანამშრომელი ე.ზურაბიანი. სწორედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩარევისა და დროული რეაგირების შემდეგ გახმაურდა აღნიშნული დანაშაული და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში დაიწყო გამოძიება.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის დააკავეს ახალგორის რაიონის შ.ს. განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის ინსპექტორ-გამომძიებელი ბონდო ტატუნაშვილი და ამავე განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი ბესიკ ორკოდაშვილი. ორივე მათგანს ბრალი საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით; 144¹-ე მუხლის (წამება) მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით და 369-ე მუხლის (მტკიცებულების ფალსიფიკაცია) მე-2 ნაწილით წაეყენათ. მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ბრალდებულებს, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ დაპატიმრება ორი თვის ვადით, შემდეგ კი 5000 ლარის გირაოს თანხის გადახდის შემდეგ გათავისუფლდნენ წინასწარი პატიმრობიდან.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ბესიკ ორკოდაშვილი და ბონდო ტატუნაშვილი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლით (მტკიცებულების ფალსიფიკაცია - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე); 333-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, არაერთგზის, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე) და 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ზ“ პუნქტებით (წამება, იგივე ქმედება ჩადენილი: მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე). ზემოაღნიშნულ პირებს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვალიათ პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნით თანამდებობაზე საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

2007 წლის 6 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი

მოპყრობის მუხლით მხოლოდ 2 საქმეზე დადგა განაჩენი პირველი ინსტანციის სასამართლოებში 2004-2007 წლებში და ისიც მინიმალური სასჯელით.

მაშინ, როცა საქართველო დემოკრატიული განვითარების გზაზე დგას და ილწვის ევროსივრცეში გაერთიანებისკენ, ადამიანის უფლებებზე მიუთითებს როგორც პრიორიტეტზე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ზემოაღნიშნული საკითხებს. აღსანიშნავია, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები წამების პრევენციისთვის, მაგრამ ამასთან ხშირად ადგილი აქვს მომხდარი წამების ფაქტების არაადეკვატურ და არაეფექტურ გამოძიებას, რაც ქმნის დაუსჯელობის სინდრომის სერიოზულ პრობლემას ქვეყანაში.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება.

წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენცია ის საკითხია, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს.